ივნისი, 1938 წ. პარიზი. № 3 (82) Paris, Juin 1938

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძოლის ხმა

ᲥᲝᲕᲔᲚᲗᲘᲗᲘᲡᲘᲠᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ. ᲡᲐᲥ. ᲡᲝᲪ.-ᲓᲔᲛ. ᲞᲐᲠᲢ. ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ.

« L'ECHO DE LA LUTTE » — Revue mensuelle du Parti Social-Démocrate Ouvrier de Géorgie.

რედაქტორი კ. გვარჯალაძე. Directeur C. Gvardjaladzé.

შ ი ნ ა ა რ ს ი: 1) კ. ბ.—პარტია ერის სამსახურში; 2) ბ. არიძე—საყურადღებო მოწმობა; 3) ხან-მანი—რუსეთის ჩაგრულ ერთა მოძრაობა; 4) ვალ.—რას სწერენ კომუნისტებზე? 5) წერილი რუსეთიდან; 6) ბ. ს—ძე—დაპყრობილ საქართველოში; 7) ემ. ლ—ძე—წერილი ჩეხოსლოვაკიიდან; 8) ემიგრანტული პრესა; 9) მუშათა მოძრაობა; 10) ოკტ—26 მაისი პარიზში; 11) X.—სომხეთის დამ. დღესასწაული; 12) მიცვალებულთა დღე; 13) პარტიული ცხოვრება.

ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲔᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ

როცა სოციალდემოკრატიული ჯგუფი პირველათ საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოვიდა საქართველოში, მან მის პროგრამის ერთერთ მუხლათ გამოაცხადა და თავის დროშაზე დაწერა: «სამშობლო და უცხოეთი, საქართველო და ევროპა». ახალგაზდათა ეს ჯგუფი ამტკიცებდა, რომ ქართველი ხალხის ცხოვრება ევროპიელდებოდა და ეს გაეგროპიელება ქართულ კულტურაზე წარმოებსო. ჩვენი ძველი თაობა ასეთ გაევროპიელებას არ ცნობდა და ის არსებული რეჟიმის ფარგლებს არ სცილდებოდა, ხოლო ამ რეჟიმის შეკეთებას და შესწორებას ცდილობდა. ახალი თაობა კი წინააღმდეგ ძველებისა მეფის რეჟიმს არ ფერიდებოდა. მისგან არავითარ შეღავათს და დათმობებს არ მოელოდა და მის რადიკალურათ შეცვლას მოითხოვდა.

სოც.-დემოკრატიული პარტია თავიდანვე პირველ რიგში ეკონომიურ და პოლიტიკურ მოთხოვნილებებს აყენებდა და ამ გზით ფიქრობდა ქართველი ხალხის უფრო ადვილათ დაინტერესებას და ამოძრავებას. მისი დიდი უმრავლესობის თავის ირგვლივ შემოკრებას და რუსეთის აბსოლუტიზმის წინააღმდეგ მიმართვას. ეროვნული საკითხის პრაქტიკულათ წამოყენებას ის იმ დროს მიჩაჩუქნილათ არ სთვლიდა, რის გამოც ეს საკითხი მის შემდეგ მოღვაწეობაში დროებით მიიჩრდილა. არც რომელიმე სხვა ქართული არასოციალისტური ჯგუფი თხოულობ და იმ ხანათ საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას. რომ ქართველი ხალხი ორგანიზაციულათ დაერაზმა, პარტია დიდ ენერგიულ მუშაობას ეწეოდა არალეგალურ, თუ ლეგალურ ასპარეზზე და თავის წარმომადგენლებს ზზავნიდა ყველა დარგის საზოგადოებრივ დაწესებულებებში.

მუშათა წრეებიდან, ე. ი. ქალაქიდან, პარტია სოფლად გადავიდა და იქ გააჩაღა გლეხთა შორის მუშაობა. სულ ათი თორმეტი წლის განმავლობაში მან მთელი ქართველი ხალხის ყურადღება მიიპყრო და მისი სიყვარული დაიმსახურა. ხალხიც მას გაყვა და მის ირგვლივ დაირაზმა. სოც.-დემოკრატია გახდა მისი ხელმძღვანელი და წინამძღოლი. ვის არ ახსოვს 1905 წლის მოძრაობა საქართველოში, როცა პარტია წინამძღოლობდა მუშებს, გლეხებს, წვრილ ბურჟუაზიას, საშუალო კლასებს. ის ათვითცნობიერებდა მათ, უხსნიდა მათ მათი დაბეჩავებული ცხოვრების მიზეზებს, მიუთითებდა მშობლიურ ენაზე სწავლა-განათლების მიღების საჭიროებაზე. მოუწოდებდა ყველას გაერთიანებული ძალით საერთო მტრის—რუსეთის აბსოლუტიზმის და ყოველგვარ ექსპლოატატორების წინააღმდეგ საბრძოლველათ.

პარტია აკეთებდა უდიდეს ეროვნულ საქმეს: ზრდიდა ქართველ მშრომელ ხალხს შეგნებით, ეერთიანებდა მას პოლიტიკურათ, რაზმავდა ორგანიზაციულათ, დისციპლინის გზით აჩვევდა ერთად ყოფნას და გამოყავდა ის ერთად სამოქმედოთ. თუ პარტია ამა თუ იმ მოსაზრებით საქართველოს სახელმწი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოებრივ ფორმაზე იმ ხანებში არ მსჯელობდა, საკაგიერთო, თვით პარტიის საქმიანობით და მოქმედებით ქართველი ხალხი ნელ-ნელა მწიფდებოდა და მისი მომავალი სახელმწიფოებრივობის შინაარსი ობიექტიურად მზადდებოდა.

საქ. სოც. დემოკრატია აერთიანებდა და რაზმავდა არა მხოლოდ ქართველ მშრომელთ, არამედ ის ცდილობდა მკვიდრი კავშირი გაება აგრეთვე მეზობელ ერების მშრომელთანაც. ამ მიზნით მან კიდევ 1903 წელს სომეხ და აზერბაიჯანელ სოციალისტებთან ერთად დაარსა ამიერ-კავკასიის საერთო ორგანო, რომელსაც უნდა ეხელმძღვანელებია მშრომელთა მოძრაობისათვის ამიერ-კავკასიის მაშტაბით. ასეთი მუშაობით პარტია აანალოვებდა და აკავშირებდა ერთმანეთთან ამიერ-კავკასიის სხვადასხვა ერებს და მათ საბრძოლველათ ხერხებალს უმაგრებდა.

როცა რუსეთში 1905 წლის რევოლიუცია დამარცხდა, იქიდან კონტრ-რევოლიუციის ტალღა მთელ ამიერ-კავკასიასაც მოედო და მეფის ჯალათებმა სხვადასხვა კუთხეებში ცეცხლით და მახვილით მოქმედება დაიწყეს. ყოველგან რეაქციამ გაიმარჯვა. საქართველოში სოც.-დემოკრატიამ სტრატეგიულ ადგილებზე მწყობრათ დაიხია უკან და ბრძოლის ახალი მეთოდები გამოიმუშავა. მან გადაასწყვიტა ამ კონტრ-რევოლიუციონურ ხანაში სახელმწიფო დუმაში ქართველ ხალხს თავისი წარმომადგენლები გაეგზავნა, რათა მათ იქაური ტრიბუნიდან საჯაროთ ემხილა მეფის რეჟიმის სისაძაგლენი და რეპრესიები საქართველოში, თუ სხვაგან და მეგრათ დაეცვათ შრომელთა ინტერესები. ქართველმა ხალხმაც ოთხივე დუმაში წარგზავნა მისი საუკეთესო შვილები, რომელთა მუშაობამ იქ დიდათ შეუწყო ხელი რუსეთის აბსოლუტიზმის დანგრევას.

რუსეთის რეაქციის ხანაში დაიწყო მსოფლიო ომი, რომლის პროცესში უკვე ნათლად მოსჩანდა რევოლიუციონურ მოძრაობის დაწყების და რუსულ აბსოლუტიზმის დამხობის აუცილებლობა. 1916 წ. ზოგ ჩვენ პარტიულ ორგანიზაციაში დაისვა კიდევაც საკითხი კავკასიის, თუ საქართველოს რუსეთიდან გამოყოფის შესაძლებლობის შესახებ. მაგრამ პარტიის უმაღლეს ორგანომ იმ ხანად ამ საკითხის ფართე მასებში გადატანა ვერ სცნო მიზანშეწონილად; ომის დროს დიდი სიფრთხილე იყო საჭირო, რომ ასეთი რამე არ გადაქცეულიყო ავანტიურად, რასაც შეეძლო ქართველი ერის საფრთხეში ჩაგდება და მისი ფიზიკური განადგურება. პარტია უფრო ხელსაყრელ მომენტს ელოდებოდა და ყოველდღიური ლეგალური პრესის საშუალებით დიდ საზოგადოებრივ მუშაობას ეწეოდა.

რუსეთი ომში დამარცხდა; მის დამარცხებას რევოლიუციია მოყვა. საქართველოში რევოლიუციის ხელმძღვანელი ყოველგან სოც. დემოკრატია გახდა, მისი მეთაურობით სწარმოებდა მთელი მუშაობა და ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში დგებოდა. ამ დროს კი ჩრდილოეთით სამოკალაკეო ომი დაიწყო და მთელ რუსეთში ანარქია გამეფდა. კავკასიის ფრონტიდან მომავალი, თუ საქართველოს შიგნით დროებით მოკალათებული გბოლ-შეკიკენერ რუსის ჯარის კაცნი ჩვენ ქვეყანას დარბევით და წალეკვით ემუქრებოდენ. აი ასეთ საბედისწერო მომენტში სოციალდემოკრატიულმა პარტიამ თავისი წევრები შეაიარაღა, ქუდზე კაცი გამოიწვია, ყველას თავდაცვისაკენ მოუწოდა და ჩვენი სამშობლო ცარცვა-გლეჯას გადაარჩინა. მაგრამ ბოლშევიკების ამ საშინელ საფრთხისაგან გადარჩენილ საქართველოს ოსმალეთი ემუქრებოდა შემოსევით.

დადგა მომენტი, როცა საქართველოს თავისი თავი დამოუკიდებელ სახელმწიფოთ უნდა გამოეცხადებია. და ეს აქტი სოც. დემოკრატიის მეთაურობით განხორციელებულ იქნა 1918 წლის 26 მაისს. საქართველომ რუსეთს ზურგი შეაქცია და პირი ევროპისაკენ იბრუნა. სოც.-დემოკრატიული ჯგუფის პირველი საპროგრამო წერილის (1893 წ.) ერთი მუხლთაგანი—«სამშობლო და უცხოეთი, საქართველო და ევროპა» 25 წლის დაუღალავი და სისტემატიური მუშაობის შემდეგ პირველათ იქნა პრაქტიკულად წამოყენებული და ცხოვრებაში გატარებული.

პარტიამ მთელ ერთან ერთად მაგრათ ჩასუფიდა ხელი საქართველოს დამოუკიდებლობის სამდერო-ვან დროშას და სამი წლის განმავლობაში ის მოწიწებით და სიყვარულით ატარა. ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის ხანაში სოც.-დემოკრატია სხვა ქართულ პარტიებთან და დაჯგუფებებთან თანამშრომლობდა, ეროვნულ ცხოვრების ყოველივე დარგში დიდ მუშაობას ეწეოდა და ნორჩ სახელმწიფოს ამაგრებდა. მაგრამ, სამწუხაროთ, საერთაშორისო მდგომარეობა იმ დროს ისე იყო გართულებული, რომ ჩვენნდა დასახმარებლათ და მხარის დასაჭერათ არავის სცალოდა. მიუხედავათ ქართველების დიდი სურვილისა და ცდისა ვერ მოხერხდა მკვიდრი კავშირის დამყარება ვერც ჩვენ კავკასიელ მეზობლებთან, რომ ყველანი საერთო მოქმედებისათვის დარაზმულიყვნენ. ყველაფერმა ამან დიდათ გაუადვილა საბჭოთა რუსეთს ჩვენში შემოსევა და საქართველოს წითელი ჯარებით დაპყრობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამპყრობელ და დაპყრობილის შორის პირველი დღიდანვე დაიწყო სასტიკი ბრძოლა. ამ ბრძოლას ყოველივე ბის სტადიაში და ფორმაში სოც.-დემოკრატია მეთაურობდა და ხელმძღვანელობდა. ჩვენი ერის ფეზიკური, ეროვნულ-კულტურული განადგურებისაგან გადასარჩენად, რუსეთის ოკუპაციის მოსახსნელად და საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად სოც.-დემოკრატიამ აუცილებელ საჭიროთ დაინახა იქ, ჩვენ სამშობლოში, ერის ყველა სასიცოცხლო ძალების გაერთიანება და ერთი ეროვნული ფრონტის შექმნა. ასეთი ფრონტი კიდევაც დაარსებულ იქნა და ის მტერს გაერთიანებული ძალებით შეებრძოლა. მტერმა საშინელ რეპრესიებს მიმართა და ხალხს ხოცვა-ყლეტა დაუწყო. ხალხის მოთმინების ფიალა აიესო და მან მტარვალებს აჯანყებით უპასუხა. აჯანყება დამარცხდა; აჯანყებამდის, აჯანყების დროს, თუ მის შემდეგ პარტიამ მისი საუკეთესო ძალები სხვა მამულიშვილებთან ერთად ბრძოლაში დაჰკარგა, მაგრამ ის მაინც არ მოიდალა, არ მოტყდა და იმედი არ დაჰკარგა.

ეროვნული ბრძოლა ერთობ ხანგრძლივი ამბავია და მას გამძლეობა და გამაგრება უნდა. ზოგ ჩაგრულ ერებს თავისუფლების მოსაპოვებლათ საუკუნეობით უბრძოლიათ, ხშირათ ბევრი დამარცხებებიც უნახავთ, მაგრამ დაბოლოს მიზნისათვის მაინც მიუხწეზეიათ. საქარ. სოც. დემოკრატიამ კარგათ იცის ეს ისტორია და ამ ცოდნით შეიარაღებული ის დღესაც დიდის იმედით იბრძვის. მას უნდა ამ ბრძოლაში ყველანი აიყოლიოს და ერთად იმოქმედოს ყველა მათთან, ვისაც ძალა და რბილში აქვს გამჯდარი დამპყრობელთადმი სიძულვილი და ჩვენი ქვეყნის თავისუფლებისადმი სიყვარული.

ჩვენ დღევანდელ ბრძოლაში დიდი დაბრკოლებები გვაქვს, როგორც შინ, ისე გარეთ. ამ დაბრკოლებების დასაძლევათ პირველ ყოვლისა აუცილებელია ეროვნული ყველა ძალების გაერთიანება. ჩვენი ქვეყნიდან მტრის განდევნის მიზნით ქართველ ჯგუფთა და პარტიათა შორის უთანხმოებანი დროებით გადადებულ უნდა იქნას. გაერთიანებული ძალებით უნდა ვებრძოლოთ შინ მტერს; გარეთ—უცხოეთში კი ყველას უნდა ვაჩვენოთ, რომ ჩვენ ღირსნი ვართ თავისუფლების; საერთო ძალებით აქ თანაგრძნობნი და მეგობრები შევიძინოთ, ჩვენი საქმის ხელის შემშლელთ კი ჩვენი სოლიდარობით პირში ლაგამი ამოვდოთ.

სოც.-დემოკრატია მუდამ ქართველ ხალხთან იყო და დღესაც მის ინტერესებს ემსახურება. ის ცდილობს, როგორც შინ, ისე გარეთ, გაერთიანოს ერის ყველა პატრიოტული ძალები; მისი უპირველესი ამოცანა საქართველოს განთავისუფლებაა. საქ. სოციალ-დემოკრატიას ქართველი ერისადმი ფიცი აქვს მიცემული, რომ ის მუდამ მის სამსახურში იქნება და ბრძოლის დროშას ხელიდან არ გაუშვებს, სანამ ქართველი ერი თავისუფალი და ბედნიერი არ გახდება.

ბ. ზ.

საყურადღებო მოწვევა

კომუნისტურ გაზეთებში გამოცხადდა მოლოტოვისა და სტალინის ხელის მოწერით სამი დადგენილება; ამათგან პირველი ორი თითქოს მიზნად ისახავენ კოლმეურნეობებში გამეფებულ თვითნებობათა აღკვეთას, ხოლო მესამე შეიცავს ერთპიროვნულ მეურნეთა შემავიწროებელ ახალ ზომებს.

ჩვენ არ ვეკუთნით იმ გულუბრყვილოთა რიცხვს, რომელნიც ფიქრობენ, რომ საბჭოთა ხელისუფლების დადგენილებებს შეეძლოს არსებული მდგომარეობის შეცვლა და მონების მდგომარეობაში ჩაყენებულ მოსახლეობისათვის რაიმე რეალურ სარგებლობის მოტანა. ჩვენთვის ეს დადგენილებები საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ისინი წარმოადგენენ კომუნისტური ფარისევლობისა და მატყუარობის ერთ ზედმეტ საბუთს.

კომუნისტური პრესა და პასუხისმგებელი პირები წამდაუწუმ იმის მტკიცებაში არიან, რომ «ენენალური» სტალინის გეგმით და ხელმძღვანელობით ჩატარებულმა კოლექტივიზაციამ ნამდვილი სამოთხე დაამყარა სოფლად; გუშინდელი ღატაკები მილიონერებად აქცია. მუდამ მშიერსა და დაშშურებულს მაძღარი და მხიარული ცხოვრება შეუქმნა. ახალი დადგენილებებიდან კი სრულიად წინააღმდეგს ვტყობილობთ. კოლმეურნეთა გამგენი უსწორ და უბულო «ბიუროკრატები» ყოფილან. დადგენილების მოწმობით «კოლმეურნეობათა გამგეობები და თავმჯდომარეები იმის ნაცვლად, რომ დაიცვან სასოფლო სამეურნეო არტელის წესდება და არ დაუშვან თვითნებობა კოლმეურნეთა მიმართ, თვითონ არიან უკანონო მოქმედებათა მატარებელნი». ამ უკანონო მოქმედების მატარებელთ მხარს უმაგრებენ და აქებენ უფრო მაღლა მდგომი პარტიული და საბჭოთა ორგანოები,—«საოლქო, სამხარეო, რესპუბლიკური და რაიონული პარტიული და საბჭო-

თა ორგანოების ხელმძღვანელები ნაცვლად იმისა, რომ აღეკვეთათ სასოფლო სამეურნეო არტელის წესდების დარღვევა და კოლმეურნეთა პირადი ინტერესების შელახვა, არსებითად აქეზებდნენ ამ ანტისაკოლმეურნეო პრაქტიკას».

ასეთი თვითნებობების შედეგი, როგორც «შემოწმებას გამოუჩენ[illegible]», ყოფილა ის, რომ «კოლმეურნეობიდან გარიცხვის დიდი უმრავლესობა სრულიად დაუსაბუთებელია და ყოველგვარი სერიოზული საბაბის გარეშე, სრულიად მცირე მნიშვნელოვანის მოტივებით ხდება». ასე «დაუსაბუთებლად» და «ყოველგვარი სერიოზული საბაბის გარეშე» ზოგიერთ რაიონებში ათასობით გაურიცხავთ კოლმეურნენი, «წაუფთმეეიათ მათთვის არსებობის წყარო» და «განუმზადებიათ მშიერი არსებობა». ამნაირად თვითონ საბჭოთა ხელისუფლება და კომუნისტური პარტია მოლოტოვისა და «დიდი» სტალინის პირით ამოწმებენ, რომ კოლმეურნეობებში გამეფებული წესები წარმოადგენენ განსახიერებას «ფორმალური და უსულგულო ბიუროკრატიული დამოკიდებულების ცოცხალი ადამიანის ბედისადმი».

მაგრამ შეიძლება უკეთესი იყოს ბედი და მდგომარეობა იმათი, რომელნიც გადაურჩენ კოლმეურნეობიდან უსაბუთო გარიცხვას? იქნება ამათ შეემატათ ის, რაც ათასობით გარიცხულთ წაერთვა? იგივე სტალინ-მოლოტოვი მათ მიერ ხელმოწერილ დადგენილებით კატეგორიულად გვიმოწმებენ, რომ არაფერი ამის მსგავსი არ ხდება. დადგენილებაში ვკითხულობთ, რომ «ნაცვლად იმისა, რომ მზრუნველობით მოეპყრან კოლმეურნეობაში მიღებული პროდუქციის სწორად გამოყენებას, შენახვასა და რეალიზაციას კოლმეურნეობის ფულადი შემოსავლის გასადიდებლად, ზოგიერთი კოლმეურნეობის გამგეობანი ხშირად მთელი წლის მანძილზე მიმართავენ პარტიისა და მთავრობის მიერ დაგმობილ პრაქტიკას, ანიავებენ საკოლმეურნეო პროდუქციას დაბალ ფასებში ან სრულიად უფასოდ გასაცემად როგორც კოლმეურნეობის შიგნით, ისე კოლმეურნეობის გარეთ. პროდუქციის დაუდგენად ინახავენ, რაც იწვევს პროდუქტების მასობრივ გაფუჭებას, ამის საერთო შედეგი კი ის არის, რომ ასეთ კოლმეურნეობებში შრომა-დღეების მიხედვით კოლმეურნეებისათვის მისაცემი ფულადი თანხა მცირე გამოდის».

ამავე დადგენილებიდან ვტყობილობთ, რომ კოლმეურნეობებში შრომა დღეებზე ნაწილდება შემოსავლის მხოლოდ 28-33 პროცენტი, მაშასადამე «ნიავდება» დანარჩენი 72-67 პროცენტი. ამ განიავებას ხელს უწყობენ დაუდგენობით და ზაქეზებით იგივე «სალოქო, სამხარეო, რესპუბლიკური და რაიონული პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელები». ყოველივე ეს უდაო დადასტურებაა იმისა, რომ, როგორც პარტიული, ისე საბჭოთა ყველა ორგანოები,—დაწყებული რაიონულით და გათავებული სრულიად რესპუბლიკურით,—წარმოადგენენ ბოროტმომქმედთა კრებულებს, რომელნიც ან თვითონ ჩადიან ბოროტებას, ან სხვებს აქეზებენ ამ მიმართულებით.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, დადგენილებები თითქოს მიზნად ისახავენ ამ ბოროტმოქმედებათა აღკვეთას, მაგრამ საინტერესო ის არის, რომ ეს საქმე ენდობა იმავე პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს, უკეთ რომ ვთქვათ ბოროტმომქმედს ავალებენ ერთმანეთს თვალ-ყური ადევნონ და ბოროტმოქმედება აღკვეთონ. ამა ვინ დაიჯერებს, რომ ამ ბოროტმომქმედთ შეეძლოთ ან მომავალში შეძლებენ კოლმეურნე გაამდნიერონ, მილიონერად გახადონ, მაძღარი და მხიარული ცხოვრება მოუწყონ?!. ეს, უეჭველია, არც სტალინსა და მოლოტოვს ჯერათ; მათი დადგენილება და მუქარა ჩვეულებრივი თვალმაქცობაა. ყველა მიუდგომელ ადამიანისათვის იმ თავითვე იყო ცხადი, რომ სტალინმა კოლექტივიზაცია გაატარა არა ჭლეხების გამდიდრების მიზნით, არამედ სოფლის უფრო მოხერხებულად და პირწმინდათ გასაძარცვავთ. ჭლეხის გამდიდრება და ისიც იმ დროს, როდესაც საბჭოთა ქალაქის მუშა უმწეო ნივთიერ მდგომარეობაშია, არ შეიძლება შეადგენდეს საბჭოთა კავშირის მესვეურთა ინტერესს. ჯერ კიდევ 1921 წელში პროფკავშირთა ყრილობაზე განაცხადეს პასუხისმგებელმა კომუნისტებმა, რომ ისინი ვერ დაუშვებენ ქალაქს სოფელმა გაუსწროს ეკონომიურად, რადგან ასეთ გასწრებაში ისინი ხედავდნენ დიდ საშიშროებას საბჭოთა რეჟიმისათვის. მართალია მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ ძარცვის სისტემა არსებითად იგივე დარჩა და ძარცვავენ როგორც გლეხს, ისე მუშასაც. პროფ. პროკოპოვიჩის ეკონომიური კაბინეტის ფრთხილი გამოანგარიშებით სოციალისტური საბჭოთა კავშირის მუშის თვიური რეალური ხელფასი 16 მან. და 50 კაპ. უდრის, ე. ი. ომის წინა დროსთან შედარებით თითქმის 8 ოჯროს მანვეით ნაკლებია. ასეთი ნივთიერ მდგომარეობის მქონე ქალაქის მუშა ერთ წუთსაც არ გაჩერდება ქალაქში და სოფლის კოლმეურნეობას მიაშურებს, რომ იქ მას ელოდეს თუნდაც ოდნავი გაუმჯობესება მისი ნივთიერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდგომარეობის. საბჭოთა კავშირში კი პირიქით ხდება,—გლეხი ქალაქში გარბის; ეს იმის მაჩვენებელია, რომ კოლმეურნე გლეხის მდგომარეობა გაცილებით უარესია, ვიდრე ქალაქის მუშის უმწეო მდგომარეობა.

კოლმეურნე გლეხის მდგომარეობა უარესია აგრეთვე ერთპიროვნულ მეურნის მდგომარეობაზეც. ამას უდაოდ ამოწმებს საბჭოთა ხელისუფლების ზემოაღნიშნული მესამე დადგენილება. ამ დადგენილების მიზანია კიდევ უფრო შევიწროვება კერძო მეურნეობის მქონე გლეხის ისედაც ძმინე მდგომარეობის. ცნობილია, რომ პარტიული და საბჭოთა ორგანოები ყოველგვარ დაბრკოლებას უქმნიან კერძო მეურნეს, რომ იგი აიძულონ კოლმეურნეობაში შევიდეს. ცხადია დღემდე არსებულ ყაჩაღურ წესებს კიდევ ვერ გამოუღია ხელისუფლებისათვის სასურველი ნაყოფი. იგი ვერ ჩამოუქვეითებია კოლმეურნეობაში შერეკილ გლეხობის მდგომარეობამდე; ეს კი დიდ საშიშროებას წარმოადგენს კოლმეურნეობების მომავლისათვის. ამ საშიშროების ზეგავლენით ხელისუფლება სასტიკ ბრძანებას აძლევს ბოროტმოქმედთა სათარგშო მოედნად გადაქცეულ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს, რომ მკაცრი ზომები მიიღონ ერთპიროვნულ მეურნეობათა წინააღმდეგ და უკლებლივ გადაახდევინონ რაც კი მათ ზეა შეწერილი; ამასთანავე აღდგენილ იქმნა ერთპიროვნულ მეურნეობათა ცხენების დაბეგვრა. თქმა არ უნდა, რომ ხელისუფლების ადგილობრივი აგენტები ამ დადგენილებით ერთგულად ისარგებლებენ და ერთპიროვნულ მეურნეობათა ძარცვას ერთი ორად გააძლიერებენ. მძარცველებს არ ძალუძთ ძარცვის აღკვეთა, ხოლო მისი გაძლიერება კი მათ სტიქიას შეადგენს.

კომუნისტურ ენაზე ამ ბედკრულ მდგომარეობას ეწოდება მაძღარი და მხიარული ცხოვრება; ხოლო კავშირის მთავრობის თავმჯდომარე მოლოტოვი და კომპარტიის გენერალური მდივანი სტალინი კი გვიდასტურებენ, რომ კოლმეურნეთ «დაუსაბუთებლათ» ართმევენ არსებობის წყაროს, რომ მთელს კავშირში გამეფებულია «თვითნებობა» და გლეხისა და მუშის ძმინე შრომით შექმნილი სიმდიდრის «განიავება». თვალთმაქცური დადგენილებები ამ მდგომარეობას ვერ შესცვლიენ, ვერ მოსპობენ იმ საშინელ ბოროტებას, რომელიც საბჭოთა კავშირის ზნეჩვეულების მოვლენად არის გადაქცეული. ბოროტების ძირი საბჭოების მეთაურთა მიერ შექმნილი ეკონომიური და პოლიტიკური რეკიმია; მისი ამოგდება შეუძლია მხოლოდ ამ რეკიმის დაქცევას და ხალხის სრული სუვერენობის აღდგენას. ეს დღეს კარგათ აქვთ შეგნებული საბჭოთა კავშირში გამომწყვდეულ ხალხებს და სწორედ ეს შეგნებაა უკეთესი მომავლის მტკიცე საფუძველი.

ბ. არიძე.

რუსეთის ჩაგრულ ერთა მოძრაობა

II. ეკონომიური შეხაძლებლობანი.

მთელს მსოფლიოში რუსეთი ცნობილია თავისი უამრავი ბუნებრივი სიმდიდრით და სამეურნეო ნედლი მასალის სიუხვით. ხმელეთის მეექვსედზე გაჭიმული იმპერია თავის სახლვრებში პოულობს მრავალფეროვან ნოყიერ ზედა პირს და მიწის გულში ჩადებულ სიმდიდრეს.

მაგრამ, როგორც ვიცით, საბჭოთა კავშირი არ წარმოადგენს ერთ მთლიან სახელმწიფო ერთეულს; იგი დანაწილებულია ბუნებრივი და ეტნოგრაფიული სახლვრებით სხვადასხვა ეროვნულ ერთეულებად, რომელთა კავშირი მოსკოვთან ჯარის და პოლიციის საშვალებით ხორციელდება. აი, ამ ხალხებთან ერთად, მათი ტერიტორია და სამეურნეო ავლადიდებაც მოსკოვს მიუსაკუთრებია და მას განუკითხავად განაგებს. რუსებს, რომ დაუჯეროთ, მათ გაამეფდნიერეს დაპყრობილი ერები, როგორც ეკონომიურად ისე პოლიტიკურად. პოლიტიკის შესახებ ჩვენ აქ არაფერს ვიტყვით, ის თავისთავად ღალადებს მოსკოვის დღევანდელ და ფეშინდელ მესვეურთა თაღლითობაზე და ვერაგობაზე. აქ მხოლოდ საინტერესოა გავარკვიოთ, თუ რა როლს თამაშობს დაპყრობილ ერთა სამეურნეო შესაძლებლობანი მთელი კავშირის ეკონომიკაში. შეუძლია თუ არა თითეულ მათგანს თავის საკუთარ ბუნებრივ და სამრეწველო შესაძლებლობლებს დაეყრდნოს და თავის თავს გაუძღვეს?

ამ თვალსაზრისით საინტერესოა განვიხილოთ საკავშირო და ავტონომიურ რესპუბლიკების სამეურნეო რესურსები და გავარკვიოთ: ვინ ვის «აბედნიერებს»!

თანამედროვე სახელმწიფოს ეკონომიკის, მისი სამეურნეო და სამხედრო სიძლიერის ქვაკუთხედს რამოდენიმე ძირითადი მადნეულობა და მისი წარმოება შეადგენს. ასეთებია: ნავთი, შავი და თეთრი

ნახშირი, რკინა, ფოლადი და სხვა. ხოლო ეს მიუცილებელი სიმდიდრე მთელს საბჭოთა კავშირში მოქცეული არა რომელიმე ერთ ნაციონალურ ტერიტორიაზე, არამედ იგი, განსაცვიფრებელი სიზუსტით, განაწილებულია კავშირში შემავალ. თითქმის. ყველა რესპუბლიკებში.

ამის საუკეთესო ილუსტრაციას იძლევა თვით საბჭოების სტატისტიკა. ამ სტატისტიკის მიხედვით მთელ რუსეთში ნავთის მარაგი (საექსპლოატაციო) 194 900 მილ. ტონას ფარავს. აქედან, ამიერკავკასიაში—115. მილიარდი ტონი ითვლება; ჩრდილოეთ კავკასიაში (გროზნა)—36.200 მილ. ტონი; ყაზახისტანზე მოდის—8,180 მილ.; უზბეკისტანზე—5.500 მილ.; თურქმენისტანის რესპუბლიკაში კი—5.300 მილ. ტონი. ხოლო ვოლგა-ოროსისაში თავისი ავტონომიური ოლქებით—24.720 მილ. ტონს ანგარიშობენ.

იმავე სტატისტიკის ცნობით, 1933 წელში მთელს კავშირში ამოღებიად 22.500 ათასი ტონი ნავთი. აქედან ამიერ კავკასიაზე მოდის—72 პროც.; ჩრდილოეთ კავკასიაზე—20 პროც. ხოლო 8 პროც. ვოლგა-როსიაზე და დანარჩენ რესპუბლიკებზე. ეს პროცენტული სიმცირე, რომელიც სხვა საკავშირო რესპუბლიკებზედ მოდის იისნება თვით მოსკოვის პოლიტიკით. ის ხელოვნურად აჩერებს და მოქმედებაში არ მოყავს სანავთო წარმოება ადგილობრივ რესპუბლიკებში, რათა ამით, ერთის მხრივ, კონკურენცია არ შეუქმნას უკვე აწყობილ მძლავრ წარმოებებს და, მეორეს მხრივ, არ მისცეს ახალი იმპულსი სხვა საკავშირო რესპუბლიკების ეკონომიურ წარმატებას.

დაახლოვებით ასეთსავე სურათს იძლევა ნახშირის წარმოება. იმავე წელს მთელ რუსეთში ამოღებული 75.959 ათასი ტონი ნახშირი. აქედან ველიკოროსისაზე ავტონომიურ რესპუბლიკებით და ოლქებით მოდის—22.779 ათასი ტონი; ხოლო დანარჩენ საკავშირო რესპუბლიკებზე—53.180 ათასი.

რკინის საბადოები მთელ რუსეთში შეიცავენ 3.100 მილ. ტონის მარაგს. აქედან უკრაინაზე (კრივოი როგი) მოდის—376 მილ ტონი; ურალის მხარეზე—954 მილ. და ყირიმში (ქერჩის საბადოები)—1.600 მილ. ტონი. 1933 წელს მთელ რუსეთში ამოღებული რკინის მადანი შეადგენდა—14.562 ათას ტონს, რომლის 70 პროც. მოდის მარტო უკრაინაზე და ყირიმის რესპუბლიკაზე.

ფოლადის ჩამოსხმის საქმეში ველიკოროსისა თავის ოლქებით იძლევა კავშირში დამზადებულ მთელი ფოლადის—42 პროცენტს; ხოლო უკრაინა, ყირიმი, კავკასია და ბაშკირეთის რესპუბლიკა—58% ხოლო ამ მთელს კავშირში ჩამოსხმულია—5.841 ათასი ტონი.

სპილენძის ამოღების და ჩამოსხმის საქმეში რ. ს. ფ. ს. რ. პირველი ადგილი უჭირავს. ის იძლევა მთელი წარმოების 81,2 პროც., ხოლო ბაშკირეთი—3,7 პროც.; ყაზახისტანის რესპუბლიკა—7,9 პროც. და ამიერ კავკასია—7,2 პროც.

თანამედროვეს მრეწველობაში და კონომიურ წარმატებაში თანდათან უდიდეს ადგილს იკავებს, ე. წ. თეთრი ნახშირი, რომლის ულეკი მადანი მთის მდინარეები და წყალვარდნილებია. საინტერესოა, რომ სწორედ ასეთი თვისების დაუშრეტელი მარაგი უმთავრესად მოიპოვება საკავშირო რესპუბლიკებში. რაიც საგრძნობლად ზრდის ამ უკანასკნელთა წონას საბჭოთა კავშირის სამრეწველო და სამეურნეო დარგში. ამას თუ დაუმატებთ მარგანეცის წარმოებას, რომლის მარაგი მხოლოდ საქართველოს და ნიკოპოლის (უკრაინა) რაიონში მოიპოვება—დავინახავთ, რომ ძირითადი სამრეწველო მადნეულობის მთავარი საბადოების უმრავლესობა ველიკოროსისის გარეგან დევს. მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, თუ სად დევს ესა თუ ის სიმდიდრე, როდესაც მისი მესაკუთრე ადგილობრივი ბინადარნი როდი არიან, არამედ მოსკოვი. მაგალითად, ბაქოს და გროზნოს ნავთის მთელი წარმოება ექვემდებარება არა ახერბაიჯანის და ჩრდილო-კავკასიის ხელისუფლებას, არამედ მოსკოვს. მათ ცალკე ორგანო განაგებს «აზნეფტი»-ს და «გროზნეფტი»-ს სახელწოდებით. ასეთ სავე მდგომარეობაშია თურქმენისტანის რესპუბლიკის სამთომადნო წარმოებანი—აშხაბადში და ჩელექენის კუნძულზე. არაფერს ვიტყვით უკრაინის, იდელ-ურალის, ბაშკირეთის, ყირგიზეთის და თათართა რესპუბლიკების მადნეულობაზე. ლითონის ჩამოსმსმელ, ქიმიურ და სამანქანო ქარხნების და მრეწველობის სხვა დარგების მოსკოვის მიერ თავის საკუთრებად გამოცხადებაზე. ყველაფერი ეს სავსებით თავსდება დღევანდელი რუსეთის სინამდვილეში. სადაც კოლონიკურ ტერორთან და სოციალურ ყალეფსთან ერთად ეროვნებათა ჩაგვრას პირველი ადგილი დაუჭერია.

მაგრამ ადგილობრივ ხალხთა ექსპლოატაცია მარტო ამით როდი ამოიწურება. საბჭოთა კავშირი უმთავრესად სასოფლო მეურნეობის ქვეყანაა. სოფლის მეურნეობა აქ შეადგენს მთელი სახალხო შემოსავლის 75 პროცენტს. მისი უმთავრესი ნაწარმოები სამრეწველო ნედლეულს შეადგენენ, რაიც უმთავრესად რუსეთის საექსპორტო საგანს წარმოადგენს. ასეთნაირ: ბამბა, ხორბალი, ხე-ტყე, მესაქონლეობა, თამბაქო და სხვა. სასოფლო მეურნეობის ამ დარგე ბის დანაწილება ცალკე რესპუბლიკებში დაახლოვებით იმავე სურათს იძლევა რაც მადნეულობის განაწილებაში დავინახეთ.

აქ, სამწუხაროდ, იძულებული ვართ, უადგილობის გამო, დავკმაყოფილდეთ იმ მხარეების ჩამოთვლით, სადაც უმთავრესად ზემო აღნიშნული საგნების წარმოებაა განვითარებული.

მთელი რუსეთის ბამბის 95 პროცენტს იძლევიან უზბეკისტანი, ტადჟიკისტანი და თურქმენისტანის საკავშირო რესპუბლიკები. ხოლო ხორბლის ბელლებს წარმოადგენენ—უკრაინა (იძლევა ერთმეორედან მთელი რუსეთისას), ჩრდილოეთ-კავკასია, ყუბანის ოლქი და ოლგის მხარეები (იდელ-ურალი).

ხე-ტყის მთავარი წარმოება მოდის კარელიაზე, ჩუვაშეთზე, ბელორუსიაზე (მთელი წარმოების 63 პროც.) და კავკასიაზე.

მესაქონლეობის მხრივ განთქმულია ყირგიზეთი, უკრაინა, კალმიკეთი, თათართა რესპუბლიკა, რომელიც წლიურად 6 მილიონ ნედლ ტყავს ამუშა-

ვებს, და ტადეიკისტანის საკავშირო რესპუბლიკა.

ამას გარდა მთელი ცენტრუსოვანთა 100 პროცენტ ზზოლოდ საკავშირო და ავტონომიურ რესპუბლიკებზედ მოდის.

თქმულიდან ნათელია, რომ საბჭოთა რუსეთის უმდიდრეს და ეკონომიურად მარჩენელ ნაწილებს, სწორედ არარუსული ტერიტორიები და ხალხები წარმოადგენენ. მერე ვინ ისაკუთრებს მთელ ამ სიმდიდრეს? იგივე მოსკოვი. ადგილობრივ ბინადარი იგი მხოლოდ შავი მუშის როლს აკუთვნებს და მშიერი კუშის ამარად სტოვებს. მაშასადამე არა რუსეთი «აბედნიერებს» დაპყრობილ ერებს, არამედ იგი ამ უკანასკნელთა სისხლით და ნაოფლარით ბოგანობს და მათ ზურგზე თავის ძლიერებას ამტკიცებს. საკმარისია ჩაგრულ ერებს მოსკოვიდან ოპეკა და ძალადობა, რომ მათ ადვილად შესძლონ თავის-თავის გაძღოლა და საკუთარ სახელმწიფოს წარმართვა. ეზაც აქეთ დევს. დღევანდელი რუსეთი ბუნებრივად დაყოფილია ვერტიკალური ხაზებით, რომელთა გასწვრივ მოსდევენ ეროვნული და სამეურნეო სახღვრები. საბჭოთა ხელისუფლებამ ამ დანაწილების ბუნებრივ კანონს მხოლოდ ფორმალური სახეელწოდება მისცა, მათ «საკავშირო და ავტონომიური რესპუბლიკები» დაარქვა; თავისუფლება და საკუთარი დოვლათი ჩამოართვა და ერთი მეორეზე გადამბული, ისევ მოსკოვის პალოზე დაადა. ჩაგრულ ერთა მიზანია ამ პალოს მოგდეყოა, ხუნდების დამსხვრევა და განთავისუფლებულ ერთა ნამდვილი კავშირის დაარსება. ამ მიზნის მიღწევას აადვილებს, როგორც ამ ჩაგრულ ერთა ნაციონალური ჩამოყალიბება და ტერიტორიალური სიღიდე, ისე მათი გეო-პოლიტიკური მოხაზულობა და სამეურნეო აგლადიდება.

აი ამ ნოყიერ ნიადაგზე წამოიჭრა და გაიზარდა რუსეთის ჩაგრულ ერთა მოძრაობა. იგი საერთო ინტერესებით ანთებული თავის მტარვალს, მოსკოვს, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში შეება. პატარა კარელიიდან საქართველო-სომხეთამდე და უკრაინის ველიდან წყნარ ოკეანემდე გაიბა იდუმალი ძაფები, დაიღო უსიტყვო ფიცი, და იგი მითითურ «პრომეთეს» სახელით მოინათლა.

რას წარმოადგენს «პრომეთეს ხალხების» მოძრაობა? რა მიზანს ისახავს იგი? ამაზე შემდეგ წერილში.

ᲮᲐᲜ-ᲛᲐᲜᲘ.

ᲠᲐᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲔᲜ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡ?

ყველა გულწრფელი იდეალისტი, ერთ დროს ბოლშევიკურ ფრაზეოლოგიის ქსელში რომ გაება, ღღეს თავის მოვალეობად რაცხს ამ ფრაზეოლოგიით მიმალული გულშეხარავი სინამდვილის გადმოლაგებას და მის წინააღმდეგ საერთაშორისო სინდისის აშფოდრებს. ამ კეთილშობილ მიზანს ემსახურება ლენინის ყოფილი მეგობარი ჰანრი გილმო, თავის შრომაში «საბჭოების ალსასრული». ის დაუმეგობრდა ლენინს ციმბერეთლის მეორე კოფფერენციაზე და დაესწრო მის გამგზავრებას ჩაკეტილ ვაგონებში ბერნიდან მოსკოვისაკენ. ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ მიწვეული იქნა რუსეთში, მოინათლა კომუნისტურ ემბაზში და ხელი მოაწერა კომინტერნის პირველ მოწოდებას. როგორც ფრანგულ სექციის წარმომადგენელმა, როგორც ლენინის პირადი მეგობარი, სარგებლობდა ყოველგვარი დახმარებით ადგილობრივ ვითარების გასაცნობად და შესაფასებლად. ავტორი თავისი მწარე გამოცდილების სინამდვილიდან ურჩევს ყველას ნუ აჩქარდებიან რუსეთთან დამეგობრებაში, გიეცნობ მის შინაურ სინამდვილეს, მშრომელთა ჯოჯოხეთს რომ წარმოადგენს და ხელი შეუწყონ გარედან რუსის ხალხის განთავისუფლებას.

მას სიმშილოიერად მიაჩნია ანდრე ჟიდის ქესტი. ამ მწერლის ნაზი გული ადისკოა არსებული უსამართლოების მჭერელი მახვილით და ეს ქმნიდა პოხიერ ნიადაგს მისი დემაგოგიის გასლით დაავადებისათვის. ოქტომბრის მოვლენა მან განთიადის მოახლოებად წარმოიდგინა; იქაური სინამდვილე მწერლის მდიდარ ცნობიერებაში ფერად ოცნების ბანაადებად აისახა და ისიც შეუდგა მის სამსახურს უცოდ-ეთში. მაგრამ რუსეთში მოგზაურობამ მწერლის ოცნების კოშკი რეალობის მტკიცე კედლებზე მიამსხვრია და იგი ადამიანის სიცოცხლის და აზრის ბარბაროსული თელვის წინააღმდეგ აამხედრა. მოსკოვის ციხეր თაყვანისცემას, მან ამაოდ ნინა ოსტორიის სამსჯავროს წინაშე ქედ-მაღალი წარდგომა და ძველი შეცდომებიც გამოისყიდა. დიახ, შეგდომები, რადგან მან მიიღო ბოლშევიზმი, როცა ის მას არ იცნობდა. გიიცნო და მყისვე, ზიზღით ზურგი აჩვენა.

სულ სხვაა მეორე მწერლის რომეს როლანის საქციელი. მისი დამოკიდებულება ბოლშევიზმთან იყო მუდამ უარყოფითი. მან არ მოისურვა ლენინის გაცილება ბერნიდან, როგორც სეკტანტის და მუშათა გამთიშველის. კომუნისტებიც მას მუდამ უდიერად იხსენიებდნენ. გავიდა ხანი. მათ შორის ბრძოლა შენელდა და ბოლოს მეგობრული იდილიად გადაიქცა. ჰანრი გილმო ამ სასწაულის მეტად საინტერესო ახსნას იძლევა. მოსკოვში ყოფნის დროს მას გაუცვნია ვინმე კუდაშოვას ქალი, რომელიც თავს პრინცესად ასაღებდა და პოეტობასაც ჩემობდა. ცოტა ხნის მეგობრობის შემდეგ ეს ქალი გამხდარა მისი პირადი მდივანი. მაგრამ ავტორი მალე დარწმუნებული, რომ ის ეკუპეუს მოგზაურნილი იყო და თავიდან მოუცილებია.

ცოტა ხნის შემდეგ გილმო განცვიფრებით გებულობს, რომ იგივე კუდაშოვა რომენ როლანის პირად მდივნად წამოსულუპეტელა. ის მაშინვე მიხვდა მოსკოვის მანიოვრებს და თავისი მეგობარი როლანი წერილობით გააფრთხილა, მაგრამ ამაოდ. რა არ სცადა ავტორმა, რომ ძველი მეგობარი ამ ქალის ხელიდან გამოეგლიჯა, მაგრამ სწორედ საწინააღმდეგო მიზანს მიაღწია. მოცილების ნაცვლად როლანმა ეს ქალი ცოლად შეერთო. ეს იყო, ეკეპეუს მიერ

ჩაწყობილი (მოწყობილი) დიპლომატიური დაჭორწინება, რომელ როლანის პიროვნება რომ მას სავსებით ხელში ჩაუგდო. აი, როლანის პოლიტიკური ფერისცვალების მიზეზი. აი, ის წყარო, საიდანაც ის იკვებება და უცხოელ მუშების და ინტელიგენტების თვალის ახვევის ემსახურება. გეპეეს ფული არ ქმაყოფილდება გზა-ბანეული ინტელიგენტის გაჩაჩნენთ, ის მას მოხუეცების ყამს ცოლსაც ურჩევს და სასიძოა ვვირვვინს ადგამს თავზე! მე ვიცი, განგრძობს ავტორი, რომ რომენ როლანი აგროვებს თავის პირად შთაბეჭდილებებს და ადგენს საკუთარ არქივს. მისი გარდაცვალების შემდეგ ეს მასალა პირდაპირი გზით გადავა გეპეეს ხელში და მის ლაბორატორიაში გადამუშავებული წარედგინება მკითხველ საზოგადოებას. მთელი ჩემის ენერგიით და სინიდისიერებით წინასწარ ვამხელ ამ მოსალოდნელ ფალსიფიკაციას. ამ არქივს არ ექნება არავითარი წონა და ღირებულება.

როლანზე ადრე ბოლშევიკურ დუდუაზე ათამაშდა ბარბიუსი. ეს კაცი—ბოლშოს თქმით,—წარმოადგენდა წმინდა წყლის ლიტერატურულ გაუგებობას. მთელი მისი ცხოვრება, შრომა, სიკვდილი. დასაფლავება და სახელი არის სიცრუე და თვალთმაქცობა. მას არ გაანნდა მწერალის არც ნიჭი და არც მორალი. ერთ მშვენიერ დღეს ქალაქის კედლებზე გამოკრულ განცხადებებმა საზოგადოებას აცნობეს რომელიღაც ახალი გაზეთის გამოსვლა ბარბიუსის თანამშრომლობით. კომუნისტებმა მასთან აფრინეს მიკრიკი. რომელმაც უსაყვედურა ბურჟუაზიულ გაზეთში თანამშრომლობა. ფულის საქმეა—მიუგო ბარბიუსმა. ფულის მოცემა ჩვენც შეგვიძლია—მიიღო პასუხად და მეორე დღეს ბარბიუსის კალამი ყოველის ამტან ქაღალდზე საბჭოებისა და კომუნისტების საქმრად აწრიპინდა. ამის შემდეგ, უნიჭო და მკითხველს მოკლებულ მწერალს ფულიც ბოლმად გაუჩნდა და ვილოვნიც. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რა ფასი აქვს ასეთი კაცის მოწმობას. რუსეთში ყოფნის დროს მა ერთხელაც არ უცდია იქაური ცხოვრების ნამდვილი შესწავლა. კმაყოფილებოდა მით, რასაც უჩვენებდენ, სჯეროდა. რასაც ეუბნებოდენ. რუსული და მით უმეტეს ქართული ენის სრულიად არ მცოდნე კაცმა რამოდენიმე კვირა დაჰყო საქართველოში, ისიც სანატორიუმში, და ეს საკმაოდ მიიჩნია საქართველოზე წიგნი დაეწერა *). ამ შრომის დამსახურება ერთია: ის გვიჩვენებს მისი ავტორის ზნეობრივი სიმდაბლის დონეს.

საბჭოთა მიღწევებზე ლაპარაკი დღეს შეუძლია მხოლოდ ხმა, ვინც ოქროს ვერძის თაყვანისმცემელია. ბოლშევიკური გადატრიალების ოცი წლის თავზე საბჭოები გაქრენ, როგორც სუვერენული ორგანოები. ჯერ კიდევ ლენინის სიცოცხლეში ზედმეტი იყო არა პროლეტარიატის, არამედ კომუნისტური პარტიის დიქტატურაზე ფიქრი და ლაპარაკი. ის იყო პარტიის ცენტრალური კომიტეტის დიქტატურა. მისი სიკვდილის შემდეგ, ეს შეკვეცილი კოლეგია კიდევ უფრო შეიკვეცა და პირად დიქტატურად ჩამოყალიბდა. იქაური ადამიანი რადაც ფენომენალური მანქანაა, უსაზრო, უსულო და უუნებისყოფო. ბოლშევიკური დიქტატურის იდეალია არა ხალხის კეთილდღეობა, არამედ ხელისუფლების შენარჩუნება და კრიტიკის უნარით დაჯილდოებულთა განადგურება. ასეთია თვით სისტემა, რომლის შეკეთების ცდაც მიუტოვებელი დანაშაულია. გაუთავებელი პროცესების ბრალდებულები ხომ ამ სისტემის მამები არიან, რომლებიც თავიანთი შვილის მსხვერპლი ხდებიან. ბრალმდებელნი და ბრალდებულები ზნეობრივ დაცემაში ერთმანეთს ეჯიბრებიან. რა დეკ-სოკოლნიკოვ-პიატაკოვის ჯგუფს, სხვათა შორის ბრალდებოდა 3.500 სარკინისაზო კატასტროფის მოწყობა. აბა, რომელ ნორმალურ ქვეყანაში შეიძლება ან ამდენი უბედური შემთხვევა და ან მათ მიზეზად კერძო პირთა გასალება! ძველი ხელმძღვანელები დღეს მკიან, რაც თვით დასთესეს. რამდენი ადამიანი სიცოცხლე შეიწირა იმ პოლიტიკუმად და ზნეობრივმა გარყვნილ ებამ, რომელსაც ისინი ახალი მორალის დასაწყისად აღიარებდენ? ბრალდებულთა უმრავლესობა გეპეუს ყოფილი მოხალისე თანამშრომელი არიან. ამ მხრივ ყველაზე ტიპიური რადეკი, ავანტიურისტები, ცინიკი, ბოროტი, მექრთამე და პროფესიონალური ფალსიფიკატორი. ან ერთი მაგალითიც. საბჭოთა მოხელე ბლიუმკინი, სტამბოლში ყოფნის დროს, ინახულა ტროცკიმ და გადასცა ინსტრუქციები ტროცკისტ კრაცენკისათვის. ბლიუმკინმა დავალება შესარულა, მაგრამ მადლობის ნაცვლად რადემა ტელეფონი აიღო და მთელი ამბავი იქვე გეპეუს გადასცა. ბლიუმკინი მეორე დღეს ცოცხალთა შორის აღარ იყო. რადეკის საქციელი დამახასიათებელია იმდენად, რამდენადაც ის იძლევა ნათელ და ტრაგიკულ სურათს საბჭოთა სამყაროში ძირმოდგმულ ზნეობაზე.

სტალინს ერთხელ გულახდილად გაუნდია თავისი იტერმიერი სულის განწყობილება კამენევისა და ძერჟინსკისათვის: «ცხოვრებაში ყველაზე ტკბილია ის მომენტი, როცა გულმოდგინედ ამოირჩევ მსხვერპლს, ბეჯითად მოამზადებ ლახვარს მის გასაგმირად, შურს ძიებ შეუბრალებლად და მოგმზადები მოსასვენებლადო»-ო. თუ მაღალ წრეებში ღალატი, ჯაშუშობა, დასმენა და ადამიანის სიცოცხლის მუხანათური გაწირვა ასე მოქალაქეობრივ მოვალეობადაა მიჩნეული. რაღა უნდა იყოს დაბალ ფენებში, სადაც პოლიტიკური იერარქიის კიბეზე ამაღლება ერთად ერთ სახურნავს შეადგენს? და ასეთი გადაგვარების გზაზე მდგომი სახელმწიფო ბედავს თავი შუშურად გაასალოს!

ამ «მუშუს» სახელმწიფოში საშუალო თვიური ხელფასი ფურის 200-300 მან. აქედან, ავტომატიურად, მუშს ეჩიცხება 15 პროც. სხვადასხვა სახელმწიფო ხარჯებისათვის და 10 პროც. ბინის ქირად, რომლის სიერაც ოჯახსს 20 კვ. მეტრით განისაზღვრება. დანარჩენი თანხის ამარა-შოენილი შუშის ოჯახი საარაკო გაჭირვებაში ატარებს თავის უუფ-

*) ლაპარაკია ბარბიუსის იმ უნიჭო და სიყალბით სავსე შრომაზე, რომელზედაც ჩვენმა განსვენებულმა ამხ. ფ. შარაშიძემ ამომწურავი პასუხი გასცა.

ვალ.

ლებო და ცხოველურ სიცოცხლეს. ასეთ პირობებში ბუნებრივია მისი გულგრილობა პროდუქციის პროცესში, რაც იწვევს შრომის ნაყოფიერების კატასტროფიულ დაცემას, საქონლის თვითღირებულების ფენომენალურ ზრდას და პირდაპირი პროპორციით მის თვისობრივ გაყალბებას. კატასტროფის მოახლოების შიშით ხელისუფლებამ გააძლიერა ისედაც ტავეგაბმეფალი მუშის ფიზიკური ძალის ექსპლოატაცია, რასაც საბჭოთა მშრომელები ჩვეულებრივი ფენტუზიაზმით შეხვდნენ. ამ «ენტუზიაზმის» შედეგი იყვენ «დამკვრელი ბრიგადები» და მი სი დღევანდელი მემკვიდრე სტახანოვიზმი. გაბატონდა განსთალებულ კაცობრობის მიერ უარყოფილი სანარდო სისტემა და გიმიზრთა «პროლეტარული შეჯიბრება». 1935 წ. I სექტემბერს დონბასის მუშა სტახანოვი 6 საათის განმავლობაში იღებს 100 ტონ ნახშირს. 7 სექტ. სვეჩნკო აღწევს 151 ტონს. სტახანოვი ღებულობს ჯამოწვევას და ამუშავებს ჯერ 175, შემდეგ 225 ტონს, მაგრამ გორლოვსკის მაღაროელი იზოტოვი მას სჯობნის და აღწევს 240 ტონს; სტალინოს მუშა ერმაკოვი—394 ტონს; ბორისოვი—778 და დღეს რეკორდი ეკუთვნის ზენუდინოვს 981 ტონით! აი, რას ეწოდება დღევანდელ რუსეთში პროლეტარიატის გაბედნიერება! ჰეროკულესის ღონე მუშის სოციალურ აუცილებლობად არის გამოცხადებული. ამრიგად, სტახანოვიზმი ბარბაროსულ რუსეთის ჩარჩოებში ჩასმული კაპიტალისტური რაციონალიზაციაა, ფიზიკური განადგურებით რომ ემუქრება მუშათა კლასს.

«საბჭოთა კავშირი, საბოლოოდ, წარმოადგენს ახიური კომუნიზმის და ინდუსტრიალური ამერიკანიზაციის შედეგებასა»-ო დასძენს ლენინის მეგობარი გილმო.

რევოლიუციის წინა პერიოდის იდეალისტური დინამიზმი შთანთქა მისმა ტერმიდორიანელთა დაბოლოებამ. იდეალიზმი მოსკოვისთვის დღეს სასაცილო საგანია. იქ მეფობს დოგმის თაყვანისცემა და ამ დოგმის განხორციელება «დიდი» ჯუდაშვილი. პროგრესიული და მისაღებია ყველაფერი, რაც ბირად ხელისუფლების შენარჩუნებას ემსახურება.

ამდენი მუხანათობა და გამეკლმობა, მუშათა საქმის სისტემატიური ღალატი და რუს მუშათა აგონია, უცხოეთში რუსული მილიონენი იფარება.

სიფრანგეთის კომუნისტური პარტია ამ განხრწნილების მორევში ლაზათიანად გორაობს. ტურის განხეთქილების შემდეგ, გაზეთ «ჰუმანიტეს» კაკეები გადავიდენ კომინტერნის ადგილობრივი აპეტის პიატაკოვის ხელში, რომელმაც ისინი მოსკოვს ჩაბაბარა. ამიტომ, გაზეთი მოსკოვის კონტროლს, ძალიანაც რომ უნდოდეს, ვერ გაეკეცეა. კომუნისტურ ხელმძღვანელთა დახასიათება სამი სიტყვით გამოითქმის: ციხიზმი, ღალატი, სარგებელი.

ასეთია რუსული სინამდვილე და მის ირგვლივ დაგუბებული მორალური და იდეოლოგიური ბახრწნილება,ᲒᲣᲒᲘᲠᲐᲡᲐ ფრაზებით და დამშვიეებული რუსეთის შრომელთა ზურგზე ანადები მილიონენი რომ იფარება. მისი გაცნობა ავადელს ყველა ᲒᲣᲚᲬᲠᲤᲔᲚ რევოლიუციონერს მის მხილებას მასვინა თვალის ასახვევად. ამ მხრივ საეჭვო და გაუგებარია ტროცკისტების საქციელი. ან მათი დავა სტალინელებთან პირადი და მდაბალი ხასიათისაა, ან ისინი წინანდელ სიბეცეს არ გასცილებიან. ტროცკიზმის დროშის ქვეშ სტალინის დიქტატურის დაგმობა სხვა არა არის რა, თუ არა თვალის ახვევის კრიმინალური ცდა. და განსხვავებაა ამ ორ ბოროტებას შორის? დღეს რომ სტალინის ადგილზე ტროცკი იყოს, განა არსებული სისტემის ძალით. ისიც მზგავსი ბარბაროსული და ოდიოზური ზომებით არ შეეცდება თავისუფალი სული ჩაკვლას და მუშათა კლასის დაბეჩავებას? ტროცკისტებიც ხომ ისეთივე სექტანტები არიან, როგორც სტალინელები? საქმე სისტემაშია, მხეკეურ სისტემაში, ადამიანის ნებისყოფაში. რომ სადისტური ენინანობით სპობს და ანადგურებს, ამაოა მისი შეკეთების ცდა. ის უნდა წარიბანოს დედამიწის პირისაგან, რადგან ის იმ ᲒᲣᲛᲘᲡᲐᲒᲚ წარმოადგენს, საიდანაც ვრცელდებიან სიდატაკის, მონობის და ომის მიკობები.

ასეთია ყოფილი კომუნისტის, ლენინის პირადი მეგობრის და საბჭოთა რუსეთის წარსულისა და აწმყოსი კარგად მცოდნე ჰანრი გილმოს დაფასება იმ სამთხისა, რომელსაც ერთად ერთი სოციალისტური სახელმწიფო ეწოდება.

ვალ.

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲓᲐᲜ

თქვენ ალბად გიკვირთ, რომ ამდენი ხანია თქვენთვის არაფერი მომიწერია საქართველოდან. ამის უბრალო მიზეზი არის ის, რომ მე იქიდან სხვადასხვა მიზეზების გამო იძულებული ვიყავი წამოვსულიყავ და ვიმყოფები რუსეთში. ამ ცოტა ხნის წინეთ კიევში მომიხდა ყოფნა რამდენიმე კვირით და იქ წავაწყდი შემდეგ ამბავს. როგორც იცით კიევის მახლობლად მდებარეობს პატარა დაბა «ბელაია ცერკოვ», სადაც დგას გარნიზონი. ჩემი კიევში ყოფნის დროს ამ გარნიზონს და გეპეუს ნაწილებს მოუხდათ შეტაკება; ბრძოლა იყო ქუჩაზე და გათავდა გარნიზონის დამარცხებით. ამ გარნიზონის ოფიცრები დახვრიტეს გაუსამართლებლად, ხოლო ჯარის კაცები დანაწილეს სხვადასხვა ნაწილებთა შორის. მათგან ჯერ-ჯერობით არავინ არის დახვრეტილი. მიზეზი ამ შეტაკებისა შემდეგია: ალბად თქვენ გეცოდინებათ, რომ სტალინმა დაიწყო ჯარების ბოლშევიზაცია და ჩაჩერა ტეპპით შეუდგა ამ განხორახეის სისტრულეში მოყვანას. ამ მიზნით იგზავნება ყველა ნაწილებში პოლიტრუკები—სულიად უცოდინარნი საბჭდრო საქმეებს; ესენი ერეკვნენ არა მარტო პოლიტიკიურ საქმეებში, არამედ საბჭდერო დისციპლინარულ განკარგულებებშიაც. «ბელაია ცერკოვ»-ში ერთ პოლიტრუკთაგანისა და უფროს ოფიცრის შორის მომხდარა კონფლიქტი და პოლიტრუკს ხელით შეურაცხყოფა მიუყენებია ოფიცრისათვის; უკანასკნელს გამოუქომაგენ სხვა ოფიცრები და მაგრად მობეგვეს პოლიტრუკი. პოლიტრუკს დასხმა-

Digitized by Google

რებლად გამოუწვევია გეპეუს ნაწილები; ჯარის კაცები კი ოფიცრობას მიმხრობია და გამართული ხელჩართული ბრძოლა.

ამას მოყვა ერთი საინტერესო ამბავი: ამ ბრძოლის მეორე დღეს ყველა ახლო-მახლო სოფლებში დაუწყიათ ჩხრეკა და ღამდამბიათ მათი პროკეტორებით განათება; შესულან ერთ სახლში, შიგ არავინ დახვედრიათ, მაგრამ ალმოუჩენიათ რადიო-აპარატი. გამოიარკვა, რომ აქ ყოფილა ის საიდუმლო რადიოსადგური, რომელსაც ასე გადაეცცებიენ ეფიდნა ამ დენი ხნის განმავლობაში ხელისუფლება. ამბობენ, რომ ამ სადგურის პატრონებს გაჩხრეკის წინ მიუღიათ ცნობა მოსალოდნელ საშიშროების შესახებ და მოუფიქრიათ გაქცევა, ხოლო აპარატის წაღება ვერ მოუხერხებიათ.

ყველა ეს ამბები მოხდა მაისის პირველ რიცხვებში.

საქართველოდან მივიღე ცნობები იქ არსებულ საშინელ ტერორზე. ციხეები სავსე ყოფილა დატყვევებულებით; ხვრეტენ ხალხს სრულიად გაუსამართლებლად. დაბერეტილთა სიეს არ აცხადებენ გაზეთებში. უკანასკნელ ორ თვეში დაუხვრეტიათ ას კაცამდე—ყველა წრისა და მიმართულების პირები. ამათ შორის არიან: ცნობილი ბოლშევიკი შალვა ელიავა, ბოლშევიკების ცნობილი გენერალი ლევანდოვსკი (ეს ორი პირნი იყვნენ მოსკოვის ჯარების საქართველოში რომ შემოეძღვენ), ბერიას და ფ. მახარაძის ყველა მდივენები, ზურ. ელიავა და მისი ცოლი, ახალგაზრდა ვირსაღაძე, ლადო გეგეკორი, ყოფილ„აშვილები და მრავალი სხვა.

ჩვენი საქართველოდან წამოსვლის წინ დაიწყეს მუშაობა ოსმალეთის სახლეოვრების გასამგრძელად; აგებენ ახალ სიმაგრეებს, რაშია საკმე—არავინ იცის. რამდენადათ ვიცით ჯერ-ჯერობით ოსმალეთს მეგობრობა არ გაუწყვეტია რუსეთთან, ამიტომ ეს ამბავი იწვევს გაკვირვებას.

საქართველოდან ზორეულ ალმოსავლეთში გაგზავნეს ქართული ნაწილები,—დაახლოვებით 3.000 კაცამდე.

№.

დაპჟროგბილ საქართველოზე!

ქართული «კომუნისტი» არწმუნებს ქართველ ერს, რომ დამოუკიდებლობის მოსპობით და მასზე მოსკოვის გაბატონებით მისი ცხოვრება აყვავდა და გაბედნიერდა. თითქოს თვითეული ქარხანა, ფაბრიკა, თუ რომელიმე ტეხნიკური მიღწევა. მოსკოვის ნაბოძებენა. მისი ნაბამგია და მის გარეშე შეუძლებელია ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრის გადამუშავება.

ბერია აჯამებს 17 წლის მიღწევებს უმთავრესთ სახალხო მეურნეობის დარგებში. ნახეგრათ მშიერ ქართველ ლეგხისა და მუშის მეყაითობით ზოგიერთ სამრეწველო დარგების ამუშავებას აწერს სტალინის გენიალურ ნიჭს. ამით ცდილობს გაამართლოს მოსკოვის ყაჩაღური კოლონიალური პოლიტიკა. თვითეული სამეურნეო გეგმა, რომელიც მოსკოვში მუშავდება, წინასწარ გაზომილია და შეფარდებული ადგილობრივი ბიუჯეტის საჭიროებასთან. თითეული სამრეწველო დარგის პროდუქციის დანიშნულება არა ჩვენი ქვეყნის ფართე მშრომელთა მასების ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესება, არამედ საბჭოთა აპარატის და ბიუროკრატიის ნივთიერად უზრუნველყოფა.

საქართველოს სახალხო შემოსავალის 78 პროცენტს შეადგენს მძიმე მრეწველობის პროდუქცია. ამ მრეწველობის მთავარი დარგები, როგორც მაგალითად ჭიათურის მარგანეცი, ტყიბულის და ტყვარჩელის ქვა-ნახშირის მაღაროები და მანქანათა დამმუშადებელი სახელოსნოები. ემორჩილებიან კავკაზიერის კომისარიატს და მათი შემოსავალი რჩება არა საქართველოში, არამედ მიდის მოსკოვში. საქართველოს მძიმე მრეწველობის შემოსავლის ადგილობრივ ბიუჯეტში შეტანა უბრალო დემაგოგიაა. საოკუპაციო მთავრობის როლი განსაზღვრულია: მან უსიტყვოდ და უყოფიტიოდ უნდა შეასრულოს მოსკოვის მიერ დასახული გეგმა და მასზე დაკისრებული მოვალეობა. როცა კი გეგმა არ სრულდება, ბერია ემუქრება მუშებს, ეძებს მავნებლებს, ნახულობს «ბუხარინ-ტროცკისტებს». მაგალითად ქვანახშირის მრეწველობას გასულ წელს დავალება მოსდგა 40 პროცენტით შეუსრულება. «სამრცხვინოა—ამბობს «კომუნისტი»—მაგრამ ფაქტია, რომ გასულ წელს ქვა-ნახშირის მრეწველობაში ვერ მოხერხდა შრომის ნაყოფიერების აყვანა ნავარაუდევ გეგმამდე».

1938 წლის განმავლობაში ტყიბულ-ტყვარჩელის მაღაროებმა უნდა მისცეს სახელმწიფოს 450 ათასი ტონა ქვა-ნახშირი. მოსკოვის ამ დანაკეკვთის შეუსრულებლობისთვის ბერია წინასწარ განადგურებით ემუქრება «უჩინარ მავნებლებს». ამით მოსკოვის ოსმალეთ მოსკოვის ოსმალეთ ოსმალეთ ოსმალეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იცის, რამდენს წაუგდებენ მას კვირის ბოლოს. ს. ნიფინჩხაურში ხელმძღვანელ პირთ პირად საოგებლობის ქვეშ ყავთ დაყენებული შინაური ოთხფეხი. ხობის რაიონში შრომის ნაყოფის განაწილება ხდება არა თვითეულის გამომუშავებულ ნორმის მიხედვით, არამედ «ძმა-ბიჭურად», მეტს ღებულობს ის, ვინც კარგს განწყობილებაშია არტელის ხელმძღვანელთანაც. ჩხარის, ქვედა-საქარის, ზოვრეთის, ძირულის, შრომის, სვირის და მრავალ სხვა კოლმეურნეობაში სუფეცს სრული ანარქია.

საქართველოში, როგორც სჩანს, სადემაგოგიო თ ჩამოუტანიათ და ათასობით დაუყრიათ უვარგისი სასოფლო მანქანები, რომელნიც ერთი წლის ხმარების შემდეგ გამოუსადეგარი გამხდარან.

აბაშის, თელავის, ბორჩალოს, ახალ ციხის, თიანეთის, სამტრედიის, ოზურგეთის, ლანჩხუთის თუ სხვა მრავალ რაიონებში ერთი და იგივე უთავბოლობის სურათია.

კატასტროფული მდგომარეობაშია შინაური ოთხ ფეხის მოვლა-მოშენება. მიმდინარე წლის იანვრის თვეში მომხდარი აღრიცხვა ნათელყოფს, რომ უბინაობის, მოუვლელობის თუ ცუდათ კვების ნიადაგზე ათასობით დახოცილა შინაური პირუტყვი. უკანასკნელის 39 პროც. მოვლილი. თუ ბინით უზრუნველყოფილნი არ არის. მაშასადამე ადვილი გასაგებია მისი მასიური დაავადმყოფება და დალუპვა. ბერიამ ვეტერინარ ექიმთა პროცესი მოაწყო, უდანაშაულო პირნი სიცოცხლეს გამოასალმა, რომ ამით პასუხისმგებლობა თავიდან აეცილებია და სტალინის მიერ შექმნილი «კოლექტიური მეურნეობის სისტემა» მშრალზე გამოეყვანა.

ჩაის და სხვადასხვა კულტურულ მცენარეთა მოვლა-მაშენება შეფერხებულა; აქაც შეპარულა «ტროიკისტ-ბუხარინელები».

როგორც ნათქვამიდან ვხედავთ სახალხო მეურნეობის ყველა დარგიში დაქვეითება და დაკნინებაა. ამ საერთაშორისო გართულებულ მდგომარეობის ხანაში ეგ გარემოება, თქმა არ უნდა, აწუხებს და აღონებს საბჭოთა ხელისმეურნეობას. თუ ომმა იფეთქა და საბჭოთა რუსეთი შიგ მოხდა ჩათრეული მას დასჭირდება დიდი მარაგი; ომი მოითხოვს დიდ საშვალებას. ხოლო საბჭოთა ქვეყნების როგორც მრეწველობა, ისე სასოფლო მეურნეობა დაქვეითებისაკენ მიექანება. ხელისუფლება ამ საკალაო მდგომარეობიდან თავის დაზწევას ლამობს დაუსრულებელი რეპრესიებით, თითქოს რეპრესიას შეეძლოს შრომის ნაყოფიერების გაზრდა და გადატაკებულ ქვეყნის ფეხზე დაყენება.

პ. ს—ძე.

ᲤᲔᲠᲘᲚᲘ ᲩᲮᲝᲚᲝᲚᲝᲜᲯᲐᲙᲘᲘᲓᲐᲜ

ჩეხოსლოვაკია არის დღეს ცენტრი მსოფლიო ყურადღების. არასოდეს ამ ოცი წლის განმავლობაში აქ იმდენი უცხო კუთნილებენი არ ყოფილა ერთად თავმოყრილი, როგორც ამ დღეებში. ჰრაფა გავსებულია ევროპის და ამერიკის კურნალ-გაზეთების კორესპონდენტებით.

თქვენი კორესპონდენტი არ გაწვდის თქვენ დღიური ხასიათის ცნობებს; გადმოგცემთ მხოლოდ ჟანური დღეკვანდელი საერთო მდგომარეობის დაფასებას და მის მოსალოდნელ განვითარებას.

«ბრ. ხ.» უკანასკნელ წერილს ვათავებდი დასკვნით: აქ ყველასათვის სახელმძღვანელო თ არის გამხდარი ავსოლიუტური თავდაჭერილობის და სიფრთხილის პოლიტიკა, სანამ მათ თავს არ დაეხმიანებოდა. სამაგალი არ არის, რომ პირველი ასეთი ცდა უქაე მოხდა. ჩრდილოეთის მეზობელმა განიზრახა 21-22 მაისს ჩეხოსლოვაკიის საზღვრების გადმოლაზვა. გავდით მოწამე მოწონაადმდეგე ძალების ერთნაირად დაზმანების: როგორც სამხედროს მხრივ, ისე მათდამი გარეშე სახელმწიფოების პოლიტიკური და საზოგადოებრივი აზრის დამოკიდებულების მხრივ.

განსაცდელში მყოფმა პატარა ერმა საზღვრების დასაცავად მოახდინა სამხედრო თადარიგი ისეთი ოსტატობით, სისწრაფით და უზმაურით, რომ ამან გამოიწვია შინ უდიდესი აღტაცება და ნდობა თავის მთავრობისადმი, განცვიფრება და პატივისცემა უცხოეთში. რამოდენიმე საათის განმავლობაში და სწორედ იმ დროს, როცა სუდეტში ჩეხოსლოვაკიის მთავრობას «წესულად» სთვლიდნენ და იქ უნდა მოეწეიათ მეზობელი სახელმწიფოს ჯარი «წესრიგის დასაცავათ», იქ აღმოჩნდა დაგრეგებული რესპუბლიკის ყოველი მხრიდგან ჯარის ყველა საჭირო ნაწილები და დამყარდა სრული წესიერება. უნდა ითქვას, რომ ამ წესიერებას არღვევდნენ მხოლოდ ჰენლაინელები: ისინი ტერორით აშინებენ ჩეხებს და გერმანელ სოციალ-დემოკრატებს (უკანასკნელნი რიცხეთ ორასი ათასი კაცი, შეკავშირებულნი პარტიულ ორგანიზაციაში, გმირულად იბრძვიან ჰენლაინელების წინააღმდეგ). მოწვეული სათადარიგო ჯარის კაცებში უსიტყვოდ გამოცხადდეს დაუყოვნებლივ ჰენლაინელებიც, როგორც სახელმწიფოს მოქალაქენი. როგორც ვთქვეთ, ასეთმა სისწრაფემ სამ ხედრო საქმეში და სრულიად იდეალურმა წესრიგმა ადმინისტრატიულ სფეროში მოახდინა დიდი შთაბეჭდილება, როგორც უცხოეთზე. ისე შინ. მცხოვრებლებზე, რომლებიც მასიურად თხოულობდნენ მოახალისეთ მიღებას. დაიწყო დაუფიანება და შემოწერილებმა სამხედრო საქმისთვის, ის მიმდინარეობს დიდი წარმატებით და აღფრთოვანებით.

გერმანიამ ყველაფერი ამის გამო თავისი ჯარი დასწია ჩეხოსლოვაკიის საზღვრებიდან 30 კილომეტრით და ამრიგად მოსალოდნელი შეტაკება ა�i ლებულ იქნა. ეს ნაბიჯი დაფასებულ იქნა აქ როგორც დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა კანცლერი ჰიტლერის და არავინ თავის თავს არ ირტყუებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმით, რომ თითქო ძლიერ მეზობელს დაეხიოს უკან შინის გამო, ან როგორც დამარცხებულს.

ერთი დასკვნა კი უდათო გამოყავთ აქ: მოხდა ინგლისის დიდი შემობრუნება, ის ირეს მეტ ინტერესს ცენტრალურ ევროპის ბედ იღბლის მოწესრიგებაში, ეროვა უფრო აქტიურად გერმანიის და ჩეხოსლოვაკიის ურთიერთობაში. ინგლისი. მსჯელობენ აქ, საბოლოოთ დარწმუნდა, რომ გერმანიის თავ დასხმას ჩეხოსლოვაკია უსათუოდ სამკვდრო სასიცოცხლო სამხედრო წინააღდეგობას გაუწევს და ეს კი იქნება დასაწყისი მსოფლიო ომის. ინგლისის ასეთი პოზიცია დიდი გაფრთხილება იქნება და არის ბერმანიის მიმართ. თუ მან არ იცოდა მსოფლიო ომის დაწყების წინ ვის მხარეზე იქნებოდა ინგლისი, ეხლა ის ირწმუნდება, რომ ინგლისი ამ ახალ, გერმანიის მიერ დაწყებულ ომში, მის მოწინააღმდეგე მხარეზე იქნებაო—ვვესმის ჩვენ აქ.

მიუხედავად ამისა, არავითარი ილიუზია არ არსებობს, იმის შესახებ, რომ თითქოს საშიშროება აციცებული იყოს. პირიქით, ყველა დარწმუნებულია, რომ საფრთხე მხოლოდ ეხლა აღწევს უმაღლეს საფეხურს: მთავრობა იჩქარის დაათავოს ამ დღეებში ეროვნული სტატუტი, რომ მისი საბოლოო ტექსტი წარუდგინოს ჭენერალის. ამასთან ერთად არის ყოველმხრივი მზადება იმ შემთხვევისთვის, თუ შეთანხმება არ მოხდა და გერმანიამ მოისურვა ჩარევა.

კომპრომისი გამორიცხულია ორ რამეში: 1) სახელმწიფოს მთლიანობა და დამოუკიდებლობა, 2) საფრანგეთთან თავდაცვის კავშირის და საბჭოებთან ჰაქტის დაცვა.

საგარეო პოლიტიკაზე დღეს კამათიც აღარაა. პრეზიდენტი ედვარდ ბენეში გამოცხადებულია ეროვნულ სიმბოლოდ და ამით აიხსნება შედეგებიც ეხლახან მომხდარ მუნიციპალურ არჩევნებში. ად ვილობრივი ხასიათის მოქალაქობრივი აქტი გახდა უაღრესად პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის.

ამ არჩევნებში მემარჯვენე, ფაშისტური, ან ნაციონალ ფაშისტური პარტიები ან სრულიად გაკრეს, ან დაკარგეს 50-70 პროცენტი ხმა და მოხდა კონსერტატიკია დემოკრატიულ-სოციალისტური პარტიების. უნდა იკოდეთ, რომ კათოლიკური პარტია აქ თამაშობს უაღესსად დემოკრატიულ როლს და დიდ მეგობრულ კავშირშია სოციალ-დემოკრატიასთან. თვით ქალაქ პრაღაში მოხდა გამონაკლისი: კომუნისტურმა პარტიამ მოიგო ბევრი ხმები, მილიონინან ქალაქში მიიღო ასი ათასი ხმა. პროვინციებში კი პირველი ადგილი ხმის მოგებით უჭირავს სოციალ-დემოკრატიას, მოიმატა ყველგან საერთოდ რვა პროცენტი. კომუნისტებმა ყველგან დაკარგეს. კომუნისტების გაზრდას პრაღაში ხსნიან სტალინის მოკვლა შირეობით. მემარჯვენეების ასეთი კატასტროფიული დამარცხება აიხსნება მითი, რომ ისინი ძალიან ეარშიყებოდნენ ერთ დროს გერმანიის და იტალიის ფაშისტურ რეჟიმებს და, გიიტეხეს რა სახელი, დაკარგეს ნდობა სახელმწიფოს დაცვის საქმეში, რაც ეხლა სდგას პირველ რიგში.

დღევანდელი მდგომარეობის დაფასება ერთი პასუხისმგებელ პოლიტიკოსის მიერ ასეთია: პირველი ნიფათი აციცებულ იქნა ჩვენი გადაჭრილი, მაგარი სამხედრო შინაური და საგარეო პოლიტიკით ერთი მხრით, და ინგლისის მიერ გერმანიის გაფრთხილებით მეორე მხრით. საშიშროება დღეს შენელებულია, მაგრამ მტრული განწყობილება უფრო გაღრმავებულია (ეს ნიშნავს, რომ გერმანია განვლილ «ზარცხს» ასე ადვილად არ შეურიგდება). საჭიროა მთელი ერი იყოს დღეს გაერთიანებული, (რაც უკვე მართლაც ხდება); ყველაფერი სამხედრო მზადებისთვის, თავისუფლების დაცვისთვის. მხოლოდ გახარწილ და ასისკვდილოოდ გამზადებულ ერს შეუძლია უარი სთქვას თავდაცვის გარანტიებზე—უდაოა რომ გადამწყვეტი მომენტი ახლოვდება.

ემ. ლ—ძე.

5 ივნისი 38 წ.

ᲔᲛᲘᲒᲠᲐᲜᲢᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲐ

ქართული «ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐ» და რუსული «ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘ»—ეს ორი ტყუპი, ორივე ᲭᲝᲠᲝᲑᲘᲡ გუდა, გულმოდგინედ განაგრძობენ ᲭᲝᲠᲝᲑᲘᲡ თხზას და თავიანი მკითხველების ამ ᲭᲝᲠᲝᲑᲘᲡ კეკბას. ორივე გამოცემის მაისის ნომრები აწყდიან მკითხველ საზოგადოებას შემდეგ უტიფარ სიცრუეს:

«ამ ბოლო დროს, ფრიად ზერელე და უსარგებლო პოლიტიკური ინტრიგების განხორციელების მიზნით, ბ. ყორდანიამ მეზშევიკური პარტიიდან გასვლა განიზრახა. მისი აზრი პირწმინდათ ეგოისტური იყო: პარტია იღუპება და მომავალი ალარ უწერია, მე მაინც უნდა გადავირჩინო თავიო—ფიქრობდა ის და პარტიაში გადადგომის განცხადები შეიტანა».

ამ ამონაწერში იმდენი სიცრუეა, რამდენიც ფრაზაა. სიცრუე უთუოდ შეგნებულად შეთხზული ბოროტის განზრახვითა და დაბალი მოსახრებით. ამიერეჯიბების სახით ჩვენ საქმე გვაქვს ისეთ მოპირდაპირეებთან, რომელნიც თავიანთ საქმიანობას საფუძველად უდებენ არა ფრთხილად ფაქიზ მოსაზრებებს, არამედ საქ. სოც.-დემოკრატიულ პარტიისა და მისი ლიდერის სიძულვილს. ამ სიძულვილით დაბრმავებულნი და გაბოროტებულნი არ ერიდებიან არავითარ ულირს საშვალებას. ნ. ყორდანიას არასოდეს მოსცლია აზრათ პარტიიდან «გადადგომა». ასეთი სიცრუის შეთხზა შეეძლო მხოლოდ «ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲡ» სულის ჩამდგმელთა გაბოროტებულ ფანტაზიას.

ზემოდ ამოწერილ სიცრუეს კომენტარიებად დართული აქვს ისეთი ანდა-უბდა, რომელიც მთვრალი კაცის ენამოქცეულ ბუტბუტს გავს.

* * *

ბამატის ხიზნებს ყოველგან და ყველაფერში მეზშევიკების ხელი ეენდებეთ. საკმარისია ვინმეს კრინტი დაძრას მათ წინააღმდეგ და მათი «სასახელო მამულიშვილობა» ამხილოს, რომ აგი თუ მეზშევი

კად არა, მენშევიკების აგენტათ მიინც იქნეს გამოცხადებული. ასე გასინჯეთ, რომ ეკურნალი «ახალი ივერია»? კი თურმე «მენშევიკების ანკეტს წამოგეგია», «მენშევიკების ინტერიგებში ჩათრეულ ი» რაკი მან გაბედა და ამხილა ამირეჯიბისა და მისი ამალის მოდალატური მოღვაწეობა.

ამის შემდეგ რა გასაკვირია, რომ პოლ. ცაგურიას «მენშევიკების პუბლიცისტათ» აცხადებენ. ჩვენ არასოდეს მოგვიწონებია პოლ. ცაგურიას ტონი და წერის მანერა («ვაკეკასიის» ტონი და წერის მანერა გაცილებით უარესია). ვერ მოვიწონებთ კალამის გადაქცევას პირად ანგარიშების გასასწორებელ იარაღად. მაგრამ პოლ. ცაგურიას წიგნში მთავარი და საყურადღებო ის ბრალდებებია, რომელნიც მან წამოაყენა ბ-ნ ბამატისა და მისი ამქრების წინააღმდეგ. «კავკასია» ამ ბრალდებებზე სდუმს და სიტყვას ბანზე აგდებს; იმის ნაცვლად, რომ ბრალდებები გაამპარილოს, იგი თავს იწუხებს ისეთი პირების დასაცავად, რომელ თაც სულაც არ ესაჭიროება «ბამატის ხიზნების» გამოქმიმგება; შეიძლება ზოგ მათგანს ხიფათიც კი შეახვედროს მათმა გამოქმიმგებამ.

* * *

მენშევიკების სიძულვილით ყოფილან დაბრმავებულნი გაზ. «მომავლის» გარდანქეშნებიც. ვიღაც სეხნიაშვილი იმდენად გათავხედებულა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს «სამარცხვინო აქტს» უწოდებს და გასაოცარს უდიერებით იხსენიებს ის 26 მაისს, რომელიც მებრძოლი ერის დროშათ არის გადაქცეული. ეს მართლაც ქონდრის კაცი «მებრძოლი ახალგაზდობის» სახელით ტრაბახის კორიანტელს აყენებს:

«ჩვენ აღვადგენთ საქართველოს იმ ნანგრევებიდან, რათაც თქვენ და რუსეთმა აქციეთ.

«ჩვენ აღვადგენთ საქართველოს სახელმწიფოს, რომელიც თქვენ დაამხეთ.

«ჩვენ გარდავქმნით საქართველოს დიდების და ძლიერების მხარეთ.

«ჩვენ აღვადგენთ აღმაშენებლის და თამარის სამშობლოს.

«ჩვენ შევქმნით საქართველოს ძლიერებას!

«ჩვენ დავწერთ ახალ დამოუკიდებლობის აქტს».. და სხვა.

მეტად სამწუხარო რამ იქნებოდა, რომ ქართველი მებრძოლი ახალგაზდობა სეხნიაშვილისებურ მჩხავანა კატას წარმოადგენდეს. მაგრამ ჩვენდა საბედნიეროდ ასე არ არის; სეხნიაშვილის ქონდრის კაცების რახმი სულ ორ სან ორმოც წლიან «ახალგაზდას» ითვლის. რომელთაც თავი ავთანდილ-ტარიელებათ წარმოუდგენიათ და ვერც კი გრძნობენ, თუ რა სასაცილო მდგომარეობაში იყენებენ თავს.

ამ «ახალგაზდებს» დღემდე ისიც კი არ ცოდნიათ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა «ციდან» არ გადმოვარდნილა, არც «დეკემბრი» მიგვიღია, არამედ თავგანწირული ბრძოლითა და სისხლით მომზადდა იგი.

მუშათა მოძრაობა

«ბრძოლის ხმა»-ს № 1 (80) მოთავსებული იყო ცნობა, რომ ის პირობები, რომლებიც წამოყენებული იყო რუს პროფესიონალურ კავშირების მიერ ამსტერდამის ინტერნაციონალთან მასაკერთ ინტერნალთან და რომლის შესახებ მოხდა დროებითი შეთანხმება რუს პროფესიონალურ კავშირების და ამსტერდამის ინტერნაციონალის ბიუროს დელეგაციათა შორის 1937 წლის ნოემბერში, კატეგორიულათ უარყოფილ იქნა ამსტერდამის ინტერნაციონალის ბიუროს კრების მიერ პარიზში 1938 წლის 12-13 იანვარს. ამ საკითხის საბოლოოთ გადაწყვეტა კი გადაეცა საერთაშორისო ფედერაციის გენერალურ საბჭოს.

პროფესიონალურ კავშირების საერთაშორისო ფედერაციის გენერალურ საბჭოს კრებას ადგილი ქონდა ოსლოში (ნორვეგია) გასული მაისის შუა რიცხვებში ამ კრებას თავმჯდომარეობდა სტრონი—ინგლისის ტრედუნიონების გენერალური მდივანი, რომელიც აცხადებდა, რომ ამერიკის პროფესიონალურ კავშირების ამსტერდამის ინტერნაციონალში შემოსვლით საერთაშორისო ფედერაციის წევრთა რიცხვი ეხლა 20 მილიონს უდრიდა. და თუ ზოგიერთების აზრით, ამბობდა სიტრონი, რუსების გაერთიანებას ამსტერდამის ინტერნაციონალთან აქვს შესაფერისი მნიშვნელობა, კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს იმ მთლიანობას და ერთსულოვანებას, რომელიც დღეს ჩვენ ინტერნაციონალში სუფევს და რომელიც დაცულ უნდა იქნასო.

ბელგიის პროფესიონალური კავშირების წარმომადგენელი—მერტენსი სასტიკი წინააღმდეგი იყო რუსების მიერ წამოყენებულ პირობებისა და მოითხოვდა მათთან რაიმე მოლაპარაკების დაუყოლებითვე შეწყვეტას.

საბჭოები, ამბობდა მერტენსი, ჩვენგან ითხოვენ ფაშისტების წინააღმდეგ მოკმედების გაძლიერებას, მაგრამ თვითონ კი ფაშისტურ ქვეყნებს აწვდიან ყოველგვარ მათ ნაწარმოებს და აყენელ და ამით მათ ამაგრებენ; რუსებს ეხლა თავისი სამხედრო გემების აშენებაც კი აქვთ შეკვეთილი იტალიაშო. მერტენსის აზრით რუს პროფესიონალურ კავშირების გაერთიანება ამსტერდამის ინტერნაციონალთან ნიშნავს ამ უკანასკნელის დარღვევას, რადგანაც რუსების შემოსვლა გამოიწვევდა სხვა პროფესიონალურ კავშირების გასვლას ამსტერდამის ინტერნაციონალიდან, რუსები აწარმოებენ მანიფესტებს, მათ უნდათ გაბატონდეს ამსტერდამის ინტერნაციონალში და ამით შემდეგ გვაიძულონ კავშირი დაიკავონო კომინტერნთანაც.

მერტენსი სასტიკათ აკრიტიკებდა რუსების მიერ წამოყენებულ პირობებს, რომელთა მიხედვით ამსტერდამის ინტერნაციონალი არ უნდა აწარმოებდეს საბჭოთა რეკიმის, თუ მოსკოვის მთავრობის წინააღმდეგ რაიმე კრიტიკას, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ პროტესტი არ გავაცხადოთ და დავეთანხმოთ ყველა ის ბოროტმოქმედებას, რომელსაც ადგილი აქვს რუსეთშია.

მერტენსი ამტკიცებდა, რომ ეხლადაც, როცა

Digitized by Wikimedia Foundation

რუსებთან მოლაპარაკების ხანაში ვართ, კომინტერნი ეწევა ჩვენ წინააღმდეგ ჩუმ მუშაობას და ცდილობს ჩვენ დაზარეგესო; მას მოყავდა ამის ბევრი მაგალითები და დაასკვნიდა: ასე იყო ეს ყოველთვის წარსულში და ასევე იქნება მომავალში, დიდი ილლუზიაა, თუ ვინმე ფიქრობს, რომ რუსების შემოერთებით ჩვენ ნიადაგ ძალა მოგვემატებაო.

რუსების ამსტერდამის ინტერნაციონალში შემოსვლის წინაადმდეგი იყო ბევრ სხვებთან ერთად აგრეთვე ამერიკის პროფესიონალური კავშირების წარმომადგენელი—ვული, რომელიც ამბობდა, რომ ფაშიზმი არ წარმოადგენს დიქტატურის მხოლოდ ერთ ფორმას, რომელიც მიიღწევის ყოველგან გაბატონებისაკენ, ამ მხრივ ამერიკელ მუშებისათვის არავითარი განსხვავება არ არსებობს ფაშიზმის და კომუნიზმის შორისო.

პროფესიონალური კავშირების საერთაშორისო ფედერაციის გენერალური საბჭომ 16 ხმით 4 წინააღმდეგ უარყო რუსების მიერ წარმოდგენილი პირობები ამსტერდამის ინტერნაციონალთან გასაერთიანებლათ.

რუსების პირობებს მხარს უჭერდნენ: საფრანგეთის, ისპანიის და მექსიკის წარმომადგენელნი, ნორვეგიის წარმომადგენელმა თავი შეიკავა.

15 ხმით 5 წინააღმდეგ მიღებულ იქნა მეორე წინადადება: შეწყდეს ყოველივე მოლაპარაკება საბჭოთა პროფესიონალურ კავშირებთან. წინააღმდეგ ხმა მისცა საფრანგეთის, ისპანიის, მექსიკის, ნორვეგიის და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელ მა.

26 მაისი პარიზში

დამოუკიდებლობის ოცი წლის თავი პარიზის ქართველმა საზოგადოებამ განსაკუთრებული საზეიმო გადაიხადა. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან მთელი უკანასკნელი საუკუნის მანძილზე ეს ერთად ერთი თარიღია, ერის უკვდავება რომ დადასტურა. მისი სიცოცხლის უნარიანობა რომ საყოველთაოდ საცნობი გახადა. ზეიმს დაესწრენ ყველა ჩვენი მოღვაწენი ნ. ყორდანიას მეთაურობით, ჩვენი მეგობარი ფრანგები, უკრაინელების, სომხების, აზერბაიჯანელების და მთიელების წარმომადგენლები. მაგრამ ამ ისტორიული თარიღის მოგონება არც თუ მხოლოდ საზეიმო გუნებაზე გვაყენებს ჩვენ დღევანდელ პირობებში. 20 წელია ერი თავისუფლების სხივით შეიმოსა და ამ სხივით ის მხოლოდ სამი წლის განმავლობაში ითბობდა ჩრდილოეთის სუსხით გაყინულ სხეულს. დანარჩენი 17 წელი ბედის წერამ უჩვეულო სიმწარით გაავსო და მრავალტანჯული ხალხი თითქოს უკანასკნელი გამოცდის წინაშე დააყენა. დღეს კი ცხადია, რომ ეს გამოცდა მან სანაკვნად დაიჭირა თუმცა ეს მას უამრავი მსხვერპლი დაუჯდა. ეს გარემოება 26 მაისის უკვდავი იდეის განახლების და მისი შინაარსის გამარჯვების თავდები უნდა იყოს. პარიზის ქართველების მიერ გადახდილი ზეიმის ხმაც სწორედ ასეთი იყო. რთული ფსიქოლოგიური განცდებით აღსავსენი ჩვენ სასოებით ვიხედებით წარსულისაკენ, ვკვნესით და ვიბრძვით მშობელ ერთან ერთად და სულგრძელი იმედიანობით ვაკაკობთ ჩვენს ხედვას მის საშერმისო განთიადისაკენ. ამ განთიადის მოშახდება კი მხოლოდ მებრძოლი ერის საქმეა. ის,—ბრძოლის ველზე გაერთიანებული,—მისკენ ეძახის ყველა ღირსეულ შვილს მძიმე ჯვარის წამების გოლგოთაზე ასატანად. გაერთიანების გარეშე მისი საქმე წინასწარ წაგებულია. 26 მაისმა ეს ანდერძი დაგვიტოვა ჩვენ და ის წარმატებით ხორციელდება მშობლიურ მიწა-წყალზე, რომელიც ირწყვება თავდადებულ მამულიშვილთა სისხლით და იკირწყლება ბრძოლაში შეფიცულთა ძვლებით. ეს ერთობა აყალი ემიგრაციას, რომელიც იქაური მთლიანი ფრონტების ანარეკლს უნდა წარმოადგენდეს, მას უცხოეთიდან ძმურად ხელს უწვდიდეს და უცხოეთში მის წმინდა საქმეს მეგობრებსა სძენდეს. აი, ჩვენი საზოგადოების საიუბილეო ამოცანა, ყოფილა ელჩმა აკ. ჩხენკელმა, რომ თავის სიტყვაში ხაზი გაუსვა.

ჩვენი მდგომარეობა პრიველეგიერია ჩვენი ერის მდგომარეობასთან შედარებით—სთქვა მან—თუნდაც იმიტომ, რომ იქ დიდებული მაისის ხსოვნას გულში ჩუმად ინახავენ. მისით აღძრულ სიხარულის გრძნობას ძალით ჰაუმებენ და მხოლოდ უხმო ცრემლით აღნიშნავენ უმანკო ტრფობას დანაკარგისადმი. ჩვენ კი, თავისუფალ ქვეყანაში თავისუფლად ვზეიმობთ მას და ამ ზეიმის დროს მთლიანად გადავდივართ ახრით, გძრნობით და მთელი ჩვენი არსებით, გვანუმებს სამშობლოს სინამდვილეში. დევ, ეს მომეტნი სამშობლოსთან სულიერი გაერთიანებისა, გახდეს ჩვენი პრაქტიკული ნაბიჯების შინაარსად. დაყოფა, ურთიერთის წინააღმდეგ ბრძოლა მტრის საქმის კეთებაა და ნუ თუ ეს გვინდა ჩვენ დღეს ქართველებო?!.

აკ. ჩხენკელის სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზე, რომელმაც იგი ხანგრძლივი ტაშით დააჯილდოვა.

სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე უკრაინის, სომხეთის და მთიელების მომაგ რესპუბლიკების წარმომადგენლებმა, რომელთაც თავიანთი ერის ძმური სალამი და გამარჯვების სურვილი მოგვიტანეს. განსაკუთრებით დროული და საინტერესო იყო სომხეთის წარმომადგენლის ბ ნ ხატისოვის მომართვა. ისტორიამ განუყრელად შეაერთა ჩვენი ორი ერის ბედი—ამბობდა იგი. ისინი ერთად იყვენ ჭირში, ინაწილებდენ ლხინს და ბედნიერებს. მაგრამ რაღაც საბედისწერო გაუგებრობა ჩვენ დღეს ერთმანეთს გვაცილებს. ჩვენ ვეშაპს, რომ მისი გაფანტვა ჩვენს ძალებს არ აღემატება. ამიტომ, ჩვენ, სომხებს გადაწყვეტილი გვაქვს ყოველივე ვიღონოთ ამ გაუგებრობის გასაფანტავად და ძმურად ხელი გამოგიწოდოთ, რომ ქარმონიული ბრძოლით, ერთად გამოვსეტედოთ კავკასიის ხალხების ბედი.

26 მაისის კვირა საკავკასიო დღესასწაულია და მან უნდა გაიერთიანოს ჩვენი მებრძოლი ძალებიც ერთობილი საქართველო, ერთობილი კავკასია. ან სადღეისო ლოზუნგი და ჩვენ ვისურვებდით აკ. ჩხენკელის ხმა არ დარჩენილიყოს ხმად მღაღადებლისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უდაბნოსა შინა და ბ-ნ ხატისოვის იმედიან სიტ-ყვებს სათანადო ნაბიჯებიც მოპყოლოდეს.

შინაარსიანი და მდიდარი იყო საკონცერტო განყოფილება. დამსწრეთა სმენა დაატკბო ქ ნ ვარნა-ძე-ჯოსტის, ქ-ნ ჯოდალის და ნ ნანობაშვილ ს ოტა-ლიერო, ფრანგულ და ქართულ მა სიმღერებმა. და საზოგადოებამაც თავისი კმაყოფილება გაუთავებე-ლი ტაშის ცემით და ვაშას ძახილით გამოხატა. განს-საკუთრებით შენიშნულ იქნა ქართულ-უკრაინელი ხორო, რომელმაც საუკეთო შეხმატკბილებით მო-გვასმენია ქართული სიმღერები, ბ ნ მოსულიშვილ-ის და უკრაინელ ლოტბარის ხელმძღვანელობით. ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ ასეთი დასრულ-ებული ხორო წარსდგა ქართველი საზოგადოების წინაშე ქართულ-უკრაინული ხმებით და ჩვენც მათ ვუსურვებთ ამ გზით წარმატებას და კიდევ მეტ და-ხელოვნებას.

კონცერტის დამთავრების შემდეგ გაიმართა ქა-ართულ-ევროპიული ცეკვა და კმაყოფილი საზოგა-დოება აწმყოზე ბოლმის და მომავალი იმედიანობის ორმაგი გრძნობით აღგზნებული ღამის პირველ სა-ათზე დაიშალა.

—ᲝᲯᲐ.

ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ

28 მაისს «პტი პარიზიენის» დარბაზში სომხურმა ემიგრაციამ გადაიხადა სომხეთის დამოუკიდებლ-ობის გამოცხადების 20 წლის თავი. დღესასწაულ ს ა-ღესწრენ მეზობელ ხალხების წარმომდგენლები და უცხოელი მეგობრები. ქართველ სტუმრებს შორის იყვნენ ნ. ყორდანია და ევ. გეგეჭკორი.

ქართველების სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ვვ. გეგეჭკორმა. სამწუხაროდ ადგილ ის სიმკირე საშვალებას გვართმევს სრულად მოვიყვა-ნოთ ეს მეტად შინაარსიანი სიტყვა და იძულებულ ი ვართ დავკმაყოფილდეთ მისი მოკლე შინაარსით.

მან, მიუღოცა რა მასპინძლების დღესასწაული-ხაზგასმით აღნიშნა, რომ კავკასიელ ხალხების ბედი განუყრელი და განუშორებელი ია. «ისინი ყველა ან ერთად იქნებიან თავისუფალნი და ბედნიერი, ან ერ-თად იქნებიან უცხო ულის მსხვერპლი. მესამე შე-საძლებლობა არ არსებობს ამის საბუთია ჩვენი შო-რეული წარსული და ახლანდელი მდგომარეობა». შემდეგ ორატორმა აღნიშნა ის მიზეზები, რომელთა წყალობით 1918 წელში დაიშალა კავკასიის მთლია-ნობა და მომზადდა ნიადაგი კავკასიის რუსუბლ ი-კების დაცემისა. მიუთითა ინ ერთობაზე, რომელიც მეზობელ ხალხნი წარმოშვა საერთო უბედურებამ ადგილობრივად ჩვენს ქეყეყნებში და დასაკვნა: «ჩვე-ნი ხალხების ერთობა აღბეჭდილია ჩვენი ძვირფასი მსხვერპლების სისხლით; ვეცადოთ ეჭ, ემიგრაცია-ში, გავხდეთ ღირსნი იმ ჩვენი ძმებისა, რომელნიც იქ—ადგილობრივად განიცდიან ბეგუბონარ ტანჯვას; ავმაღლდეთ დონემდე იმ ისტორიული ამოცანისა, რომლისა, რომელ იც ჩვენს წინაშე დგას; ვერიდოთ ჩვენს მოქმედებაში იმ შეცდომებს, რომელნიც წა-რსულში დავუშვეთ; ვეცადოთ განვამტკიცოთ ჩვენს რიგებში «კავკასიური რწმენა»; შევიარაღდეთ რკი-ნის ნებისყოფით, რათა ვსძლიოთ ჩვენს გზაზე დამ-დური ყველა დაბრკოლებანი და განვამტკიცოთ ე ს ჩვენი რწმენა; ეს იქნება მტკიცე საფუძველი კავ-კასიელთა განმანთავისუფლებელ ბრძოლისა. ამ შე-მთხვევაში ჩვენთვის საშიში არ იქნებიან ის გარეშე ძალები, რომელნიც შეეცდებიან შეაჩერონ ჩვენი სვლა თავისუფლებისაკენ. ჩვენი ხსნა ჩვენს ხელ ი-არის.

გაუმარჯოს სომხეთს, გაუმარჯოს განთავისუფ-ლებელ კავკასიას!

დღესასწაული ჩინებულად ჩატარდა და სტუმარ-მასპინძელნი ნასაიმოვნენი დაშალეს.

Х.

ᲛᲘᲪᲕᲐᲚᲔᲑᲣᲚᲗᲐ ᲓᲦᲔ

უცხოეთში გარდაცვლილ მამულიშვილ თა მო-გონება შედის პარიზის ქართველთა ტრადიციაში. საკმ. სოც. დემ. პარტიის პარიზის კომიტეტმა ამ ორი წლის წინად დაადგინა მაისის ერთი კვირა დღე მიცვალებულთათვის შეეწირა და ქართული საზო-გადოება ლევიოლის სასაფლაოზე მოეწვია. წელ ს მა-საგრელოა, რომ ამ ძვირფას დაკარგულთა დღე ტარ-დება და ჯლოვის შინაარსით ივსება.

29 მაისს, საკვირ ამინდის მიუხედავად, ლევი-ლის სასაფლაოზე თავი მოიყარა საკმაოდ მრავალ-რიცხოვანმა საზოგადოებამ და თავისი კაეშანი. პი-რადი თუ ეროვნული, ძვირფას საფლავებს ცრემ-ლით შეეფარა. მეტად ძნელია იმის თქმა თუ ვინ უფრო გაიმეტა ბედმა: ისინი. ვინც იქ, სამშობლ ო-ში თავიანთ მოვალეობის მოხდაში სულ ს ლვენ და საყვარელ მიწას ებარებიან; თუ ისინი, ვინც იქაურ ჯოჯოხეთს გამოეკ ცენ, თთელ ი მათი ნაშრომი წყალ-ში ჩაყრილივით დატოვეს და უცხოეთის ცივ მიწა-ში საფლავი გაითხარეს... მაგრამ ჩვენ, ამ დღეს, მთელ-ი ჩვენი არსებით, სულით, მოგონებით, ვართ ყველ-ა იმათთან, ვინც უწმინდეს ბრძოლაში ღვიძიერ სანთელივით დაიფერფლა და წამების ჯვარის სიმ-ძიმეს დადიყოლია...

29 მაისი იყო აგრეთვე განსვენებულ ი ამხანაგის ევა ჯიბლაძის ჩვენი დიდი სილიას მეუღლ ის ძეგ-ლის გახსნის დღე. ჩვენ ბეი ერთხელ კიდევ დავიტი-რეთ და მასთან ერთად ვიგლოვეთ და მოვიგონეთ ყველა ქართველი დედები და მათი აღზრდილი ვაჟ-კაცები, გუშინდელ ბრძოლებს რომ ანაბადენ ენ და ამ შვენებდენ.

სიტყვები წარმოსთქვეს: სოც.-დემ. პარტიის პა-რიზის კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ი. სალაყაია-ამ, ამხ. დ. ჟორჟოლიანმა, ამხ. რ. არსენიძემ, დ. ვა-შაძემ და ელ. პატარიძემ, რომელ თაც დამსწრე ს ა-ზოგადოებას გაერთიანებული საფლავების წინაშე თავისი მოვალეობა და სამშობლოს გმირთა ანდერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძი მოაგონეს. ერთი საათით სულით და გულით გადავედით ჩვენს ძვირფას მიცვალებულთა სამყაროში რომელთა დაობლებული სული ბოდმას მომგვრელი იდუმალებით სამშობლო ქვეყნისადმი მათ უქანასკნელ ვედრებას ჩაგვრურჩულებდა:

დედა შვილობამ ბევრს არ გთხოვ.
შენს მიწას მიმიბარეო,
ცა-ფირუზს, ხმელეთ ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო.

ჩვენც მათ იდუმალი ფიცი მივეცით, ფიცი წმიდა და გაუტეხელი, რომ მათი ნეშთი მადლიან სამშობლოს დიდების აკლდამაში მაღე იპოვის ბინას. ეს ფიცი შესრულდება, რადგან ასეთია ქართველი ხალხის ნება და სურვილი.

სამოქალაქო პანაშვიდი

კვირას, 12 ივნისს პერ ლაშეზის სასაფლაოზე კარლო ჩხეიძის გარდაცვალების მეთორმეტე წლის თავზე გადახდილ იქნა სამოქალაქო პანაშვიდი. სიტყვები წარმოსთქვეს ევ. გეგეჭკორმა და ტ. წულაძემ.

პარტიული ცხოვრება

სალიტერატურო-საშეცნიერო წრეში.

პარიზის სოც. დემოკრატიულ ორგანიზაციასთან არსებულ სალიტერატურო-სამეცნიერო წრეში სისტემატიურად იკითხება მოხსენებები და იმართება ბაასი სხვადასხვა საინტერესო კითხვებზე.

თავის პირველსავე სხდომაზე, რომელზედაც მიღებულ იქმნა წრის წესდება და არჩეული ხელმძღვანელი ბიუროო, წრის საპატიო თავმჯდომარეთ არჩეულ იქმნა პარტიის ბელადი ნ. ჟორდანია.

23 აპრილს, მეტად შინაარსიანი მოხსენება წაიკითხა ამხ. ზ. ჩიჩუამ, შემდეგ თემაზე: 1) საქართველოს მხედრობა რუსეთთან შეერთებამდე და 2) სახალხო გვარდიის როლი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის და დაცვის საქმეში. ამხ. ზაქარიამ თავისი მოხდენილი ენით თვალწინ გადაგვიშალა ჩვენი სამი წლის დამოუკიდებლათ არსებობის ნამდვილი სურათი და ის გმირული ბრძოლა, რაც ჩვენი პარტიის მეთაურობით ქართველმა ერმა და სახალხო გვარდიამ აწარმოვა ამ მოკლე მაგრამ სა სახელო პერიოდში.

კრებამ მომხსენებელი ხანგრძლივი ტაშით დააჯილდოვა და აირჩია წრის საპატიო თავმჯდომარეთ.

7 მაისს, მოხსენება გააკეთა ამხ. ინა ჟორდანიამ საბჭოთა რუსეთის მოსახლეობის მდგომარეობის შესახებ. ბევრი საინტერესო ფაქტები აგვიწერა ის საშინელი პირობები, რომელშიაც იმყოფება საბჭოთა კავშირის ხალხი და დაპყრობილი ერები. მართალია ამ ყოფა-ცხოვრებაზე ყველა ჩვენგანმა იცის, მაგრამ ამ მოხსენებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და ამხანაგები ერთობ ჩაფიქრებულნი და ნაღვლიანები დაიშალნენ.

14 მაისს, ამხ. შ. სკამეიკაშვილის მოხსენება იყო: სოციალისტური მოძრაობის თანამედროვე მდგომარეობაზე. რომელშაც საინტერესო ახრთა გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია.

30 აპრილს და 21 მაისს იყო ამხ. შ. ბერიშვილის მოხსენება, მისი მოხსენებათა სერიიდან, სათაურით: საკითხები ჩვენი პარტიული იდეოლოგიიდან, რომელთა დანიშნულება იქნება სოციალ-ისტური იდეოლოგიის საფუძვლების გარჩევა სახოგადოთ და კერძოთ ჩვენს საქართველოს პირობებში, ჩვენი პარტიის მოღვაწეობასთან დაკავშირებით.

უკანასკნელათ გაიმართა ბაასი დღეს ევროპაში არსებული ორი ბლოკის შესახებ. ამ საკითხმა დიდი ინტერესი გამოიწვია ამხანაგებში და კამათი ორ სხდომაზე გაგრძელდა.

ახლო მომავალში წაკითხული იქნება შემდეგი მოხსენება:

1) ამხ. გრ. ურატაძე—ხავი საბჭოთა რუსეთთან. 2) ამხ. დ. ჟორკოლიანი—ჩვენი პარტიის როლი ქართველი ერის ცხოვრებაში. 3) ამხ. ტ. წულაძე—ეკონომიური კრიზისი. 4) ამხ. გრ. წერეთელი—მიმდინარე მომენტი და ჩვენი პარტიის ამოცანები. 5) ამხ. პ. სარჯველაძე: ა) ალ. ყაზბეგის ნაწარმოებთა განხილვა და ბ) თანამედროვე ქართული მწერლობა. 5) ამხ. ზ. ჩიჩუა—საქართველოს რუსეთთან შეერთება.

მოხსენებებს სისტემატიურათ ესწრება 20-დან 30 ამხანაგამდე.

წრის სხდომები ხდება ყოველ შაბათობით ექვსი საათიდან, 189, ბ-დ ავენ ჟორესი, ბიანკური, მეტრო პლას სამბა.

ხელმძღვანელი ბიუროო თხოვს ამხანაგებს მონაწილეობა მიიღონ წრის მუშაობაში და აღმოფხრნონ მას დახმარება.

ხელმძღვანელი ბიუროო.

ახალი წიგნი

გამოვიდა ს. გოგიბერიძის შრომა «ბრძოლა სამშობლოსათვის». ამ მეტად საინტერესო წიგნის ბიბლიოგრაფია უადგილობის გამო გადაიდგა შემდეგ ნომრისთვის.

„ბრძოლის ხმა"-ს ექსპედიცია

სთხოვს ხელის მომწერთ მათზე დარჩენილი გაზეთის ფული გამოგზავნონ შემდეგი მისამართით:

M-r Eradzé
10, rue Jules Ferry. Leuville-s-Orge (S.-et-O.)
France.

ამავე მისამართით შეიძლება გაზეთის გამოწერა.

Leuville-sur-Orge. — *Imprimerie de Leuvill* Le Gérant : René Toussaint.